



სალიბარატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 36.

აგვისტოს 2, 1894 წ.

№ 36.

შინადასი: — ხატის წინ, ლექსი აკავისა. — სეურადღებო ამბები. — ცრუმოწუ და აუშავი, ლექსი კორკობასი. — მოამბისა საპასუროდ აკავისა. — ფარსიველის და შეზკურის რჯავი გ. წერეთლისა. — სჯანღვის თავგადასავალი. — მნი უორდანი და მისი ქრონიკები ნასა. — შეზკურის ლ ლნი, ლექსი მანანელისა. — საღრაშაცკო ველგვა კ. დოდაშვილისა. — მან ქუთაისს, კორნეტორს ქილიდა და დამასისსა. — თავეანტორას ბრალო ა. ერისთავისა. — ყორში განცხადება.

შედეგების განხილვა. „კვლის“ ვნ-ში

წერილში კორნეტორულ შეცდომებს გარდა, რომელსაც მკითხველი თვითონაც ადვილად დანახავს, შედეგი შედეგობები შეგუბარება სტატიაში „კორნეტორის ჩიჟარ-თული“.

„სტირელი“: — უნდა იყოს „სტირალი“; აგვისტო შეიქცევაში „მომესვა“: — უნდა იყოს „მომესებ“, „რომელი მწერლის“, „მისი თავის“: — უნდა იყოს „რომელი მწერლის“, „მის თავის“ (სტატიაში ბეტორი ასე მოგვიწოდებდა აბრუნებს ნათესაობითში, თუმცა „კვლის“ რეაქცია არ ეთანხმება მას ამ შექმნილებში და ფიქრობს, ნათესაობითი ასე უნდა იხმარებოდეს: რომელი მწერლის, მისი თავის). რეა.

სპეკული

თბილისის საზოგადოების მასწავლებელთა ქალთა ურთიერთ-შეწყენისა გადავიდა ევლიამინოვის ქუჩაზე, სადაც უწინ მესამე კლასიკური ლემნაზია იმყოფებოდა (ქალაქის სახლის გვერდით). მოსწავლეებს მიიღებენ 22 აგვისტოდან, 10 საათიდან 12 საათამდის დღისით და 5 საათიდან 6 საათამდის საღამოთი. ქართველ-სომხის ყმაწვილებს, რომელთაც პირველადწყებითი მომზადება ესაჭიროებათ, ეძესი წლისაზე ადრე არ მიღებენ, ხოლო რუსის ყმაწვილებს არა უმცირეს შვილის წლისა. სწავლა იწყება პირველ სექტემბრიდან. ყმაწვილებს ამზადებენ ყველა სასწავლებლისათვის.

გამოვიდა **მომრე ტომი** გ. წერეთლის თხზულებისა

მითხრობა

რეანი ცხოვრების ყვა-ვილი,

გამოცემული ქუთაისის ამანავაგობისაგან. ფასი 60 კაპ.

ხატის წინ



იყვარს, როდესაც ხატის წინ ანთია წმინდა სანთელი და საიდუმლო პარპალით ბნელს ფანტავს მისი ნათელი.

მყუდროდ, უხმოდ და უძრავად
 დნება, ვით მსხვერპლი დიადი,
 რომ მადლით გაასვეტაკოს,
 თეოდ-უწოდამელი წყვილია!..

მიეჩერებივარ ამ დიდ-ძალს
 მწარ-ტყბილად ჩაფურცებული;
 მეცა უსიტყვოდ, უძრავად,
 ცის სვეტად გაქვეფებული.

რალად უცნაურ ერთობას,
 ეხედვ სანთელს და ჩემს შუა!..
 მხოლოდ ეგრძნობ!.. თვრა ვერ წვდება
 ჩემი გონება და კჳუა.

სანთელი ჩემი ხორცია,
 სიკაცხლე—მოკლე პატრუქი;
 ნათელი—ჰჳუა-გონება,
 იმათგან გამოწაშული!..

ჩემი ხატია სამშობლო,
 სახატე—მთელი ქვეყანა
 და რომ ვიწვოდე, ედნებოდე
 არ შემიძლია მეც ვანა?

კი!.. მაგრამ მნათე არსად ჩანს,
 ჩემთან მომტანი ცეცხლისა!..
 ის მოკიქული მოამაელის,
 მსგავსი ჰიკიკა მერცხლისა!..

აკაკი

საყურადღებო ამბებო



ურია. მე გამოვთქვი ამას წინად და დავასაბუთე კიდევ, რომ გურულები მიმბაძვი ხალხი ვართ, კარგიც და ავიც ჩვენში, მიმბაძველობით ადვილად ვრცელდება-მეთქი. ამისთანა მიმბაძველ ხალხში, რომ მკოდნე პირები გვეყოლოდა, მოსალოდნელი იყო გავრცელებულ-აყვავებულიყო მეურნეობა და წინ წასულიყო ხალხის ეკონომიური კეთილ-დღეობა, მაგრამ ჩვენში კი ამის წინააღმდეგს ეხედათ. იმ დროს, როცა განვითარებულმა მეურნემ გამოიგონა ყოველგვარი სამეურნეო იარაღი, რომლითაც ერთი ათად უფრო იოლი სამუშეოარი, ჩვენში სამავალითაც ეერ ნახავ. იმ დროს, როდესაც ამავე მეურნემ ეეროპაში შესწავლა და შეიგნო მიწის ვასუქება და ვაკეთება სრულიად ადვილად, ჩვენში მავალითის მჩვენებელსაც ეერ ნახათ. იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნებში ამ ევარი მეურნეების წყალობით გავრცელდა და აყვავდა ყოველგვარი სამეურნეო ცოდნა და ამ ცოდნით მატარებელის სისწრაფით წინ მიდის ეკონომიური წარმატება, ხალხის კეთილ-დღეობა, ჩვენში მეურნეობა კიბოსავით უკან-უკან მიდის. დილად, უკან-უკან!.. ჩვენში ძველი მუშა ბუნების კანონის ძალით, რა თქმა უნდა, ვეკლდება—კვდება, ახალი კი, რომ ლებეც ბავშობიდან არ ეჩვევიან მუშაობას და რამდენსამე წელიწადს პირველ დასაწყისს ან სასულიერო და ან სამოქალაქო სასწავლებელში ატარებენ—მუშაობა რცხენით და თაკილობენ კიდევ. მართალი ვითხრათ, არც იციან. თუქცა გურულებშიაც გამოჩნ

ნდენ ახლა აქა-იქ ნასწავლნი მეურნენი, მაღალს, საშუალოსა და წინამძღვრიანთკარის სასწავლებელშიაც კურს დასრულებულები, მაგრამ ყველა ამას, თათქოს პირი შეკრესო, გურია მიატოვეს, ამიტომ რომ, როგორც ზემოთ ვთქვი, მეურნეობა ჩვენში კიბოსავით უკან მიდის. იმ დროს, როდესაც გურიაში ათასგვარი სხვა-და-სხვა მოსავალი იკეთებს და იხარებს, რომელითაც ათჯერ მეტი შემოსავალი ექნება და ათჯერ ნაკლები შრომა, მხოლოდ მოყავთ სიმინდი, ღომი და ძლიერ ცოტა ნაწილი თამბაქოს მოყვანასაც მიდევს. აქ უნდა შევნიშნო, რომ თამბაქოს ფასმა, აქაურ ადგილობრივ ჩარჩების გამო, ძალიან დაწია, თვრა ეს საქმე გურიაში ერთბაშად გურცელდება.

მე შემემთხვა გურიაში მგზავრობა. აერ ათი წელიწადია ნამუშევარს დიდის ცნობის მოყვარობის და მუშტრის თვლით ვათვლიეებდი ყოველგან. დავრწმუნდი, რომ სიმინდის ყანა მთელს გურიაში ორ სამგან თუ იყო რიკიანი ნაკეთები, მეტა არა. თითო ღერს ორი და სამი ტარო ჰქონდა და სამხერად მიტაცებდა, ხოლო დანარჩენ ადგილებში სქლად თესდენ, ძრიელ მაღალი იზრდებოდა და ამის გამო ზოგიერთებს ტარო სრულიადც არ ჰქონდა. რომე-ლსამე ჰქონდა თითო და ისიც პატარა. „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელიო“, საწყალ მუშას ჰკონებია, ბევრი ძირი სიმინდი ბევრ ტაროს, გამოიბაშო და ადგილის სიეწროვის გამო სიმინდი არ გამოუტრია. მხოლოდ რადგან გურიის ჰევა კობიანი და წემიანია, სიმინდი მაღალი იზრდება, სქელდება და მიწის სინოყიერე სქელს სიმინდს არ ყოფნის,

რის გამოც პატარა ტაროს იკეთებს და სწორად უტარაოთაც რჩება. თუ რამდენათ ნაყოფიერია გუ-რის ნიადაგი სხვა-და-სხვა მცენარეებისთვის, ამას ქვემო მოყვანილი მაგალითებით შევიტყობთ. ამ წელში გუარიაში საშინჯავათ შემოვიღეთ იონჯა, ამერიკის ე-ზი, გენაგენჩაყი, პური, ბანაბა, ბიწვილი და სხვა... ზოგიე-რითი თესლი გამოავრთეთ თფილის-ს საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას და ზოგიც სხვას. ვასაოც-რად იკეთა. მხოლოდ არ შემოძლია გადაწყვეტით ეუძეა იონჯაზე რამე, რადგან პირველ ნახაზე ახალი ამასული იყო და მე-არეჯელ მოეთიბათ, მაგრამ ვერ გაუტყვით, რომ ამ მცენარემ ჩინებულად არ იკეთებს. ყველასაგან ცნდებილია, რომ გენაგენჩაყი, ბანაბა და სხვა დიდი შემოსავლიანია შედარებით სპინდლზე და ღომზე და მუშაობაც ერთი ორად ნაკლები უნდა. აგრეთვე შენიშნულია, რომ ადგი-ლი თუ არ დაასვენე მოიღლებ, გამოიფიტება და მოსავალსაც აღარასუფერს მოგცემს. ა, ამისგამო ეჭირება ჩვენს მიწებს მკლანე და შეგნებული მე-ურნენი, რომ შეასწავლოს მეშას, თუ რომელ მიწაზე რა დათესოს, რა ღრავს და სხვა... ამის-თან კიდევ უნდა გაეიმეორო, რომ სანამ ჩვენს ქვე-ყანაში არ შედგება „მწარმოებელთა საზოგადოება“ და პირდაპირ ქარხნებში არ ექნება საქმე და სანამ ექნებურო ჩარჩების ხელში იქნება ჩვენი ნამუშევა-რი, მანამდის ჩვენა მუშის ეკონომიური მდგომარე-ობა და ცხოვრება არ იქნება სანატრლო მდგო-მარეობაში. მე გაგივტე საჩუქურა პირიდან, რომ ლიონში აბრეშუმის პარკი (გამხმარი) 70 მანეთი არის; ჩვენში კი გაუმხმარი 7 მანეთად გაიყდა წილს! განხილვაში უნდა გამოვირიცხოთ 2/3, ერთი სიტყვით ჩვენი ჩარჩები მანეთში სამ მანეთს იღებენ ხოლო, როცა ხსენებული „ამანავობა“ შედგება, მაშინ უქმ მკლაველებს მაზარდა წაუხდება, ყველა მუშაობას მიჰყოფს ხელს და როცა მუშაობა მუშაკს კარგს შემოსავალს მიცემს, მაშინ ცუდი საქმის ხე-ლობას თავს დანებებს და ოჯახს გაუმოქმედება.

მეფაფაქურე

* *

სახუმდიან იწერებინა, რომ წელს იქაც საში-ნელი ვალეა ყოფილა. სიმილს ტარო ვერ გაუქე-თებია. ეენახებს ნაკარი გაუჩნდა და მტენები გა-მოაშროვეო, ხეხილს სხვა-და-სხვა მატლი შესია, ასე გასინჯეთ, ახალ ათონის მონასტრის ზეთიბი-ლის ბაღებიც ძალიან აზარალა სიტემ: ნაყოფი გაუშრო და ჩამოყარა. საზოგადოთ სახუმის მა-ზრაში წელს ვერ უნდა მოელოდენ კარგს მო-სავალს. თუმცა დიდი ხნის გელეას შემდეგ ამ

ბოლოს დროს წვიმებმა მოუჭმირა, მაგრამ სიმილს კი ევლარას არგებს მაინც, რადგან ძირი თითქმის ყოველგან გამხმარი აქვს.

* *

ბ-ნი მეჩხრესკი იწერება სიგნახიდან კაცკისის სამეურნეო განეთში, თუ როგორ აკეთებენ ფშა-ხესურის მცენარეები ყველსა. მთაზე ფარხნები აქეთ გაკეთებული, წველიან ცხერებს დღეში ერთხელ დილ-დილაობით. იქვე თბილს რძეს შეურევენ მა-ჭიკის საციდელს და, როცა დამყავდება, ცოტას მო-ათობებენ ცუცხლზე და შემდეგ ამ დაკეთილს რძეს ჩაასხმენ ნარმის, ან ტილოს პარკებში და წურევენ ხელით; წაქას ისევ აკროებენ ქვაბში, ან ხის გა-ბში. ამნაირად გაწურული დაკეთილი რძე რაკი ყვე-ლად დამაგრდება, დადებენ მერე მინდორზე რამდენსა-მე ერთად და წახურევენ ნახადს. ერთ დღეს ასე უნდა იყოს. შემდეგ გახსნიან ტილოს პარკს და გამოიღებენ იქიდან გამაგრებულს ყველს; მერე ყვე-ლებს ჩაალაგებენ გულაში, რომელსაც ძირს მარლი უფენია ყოველ ყველის ჩადებაზე ცოტა მარლის მოაყრიან, მოუყვრენ გულას თავს, ცოტად კიდც გაბერევენ, რომ ყველები თავისუფლად იყონ გულა-ში და ერთმანეთს არ მიეკრან. თითო გულაში ეტე-ვა შევარ-რვა ყველი, ორ კვირას შემდეგ გამოიღე-ბენ გულადან ყველს და ჰყდიან. აქაური ყველი გემრიელია, მხოლოდ უსუფთაოთ კი არის ნაკეთი-ბე. ფუთო აქაური ყველის ღირს ხუთი მანეთი. ლე-კებსაც ჩამაქეთ აქ ყველი, მაგრამ უფრო იაფად ყრიდენ, ფუთს ოთხ მანეთად. ლეკების ყველი უფრო მდარეა (ღირსეიბით ნაკლებია) ფშა-ხესურის ყვე-ლზე.

* *

ნიკიტანის საბალოსნო და საენახო შკოლის შე-სახებ დამტკიცდა უმაღლესად ახალი წესდება, ამ შკოლის განზრახვა ის არის, რომ აღზარდოს ნასწა-ელი მეურნეები და გააერთელოს რუსეთის მხარეში ყოველნაირი მეურნეობა. ახალი წესდების ძალით ძველ პროგრამას შკოლისას უნდა მიუმა-ტონ სწავლება ხაზვისა და ხატვისა, აგრეთვე უნდა შეასწავლონ უფრო ვრცლად ბუნების მეცნიერება და ალგობრივი მოსაყვანი მცენარეების თესვები; მოწაფეები სხვათა შორის ისე უნდა იყონ მომზა-დებულნი, რომ იკლდენ კარგათ გემის შედგენა და მიწის ზომვა.

უწინ ექვს წელიწადს უნდებოდენ სწავლას, ახლა უნდა დაჰყონ სასწავლებელში მხოლოდ ხუთი წელიწადი, ხოლო უკანასკნელს წელიწადს მთა-ნდომებენ გამოცდილებით მუშაობას. მოწაფენ რა-

დგან მუშებთან ერთად დაიწყებენ შრომას, ქირაც დაენიშნებათ. ნიკიტინის სასწავლებლის კურსი ორ კლასიან სამინისტრო სასწავლებლის კურს უღრის და ჯარში გაიყვანებენ მესამე რაზრადის წესით. იქვე შკოლასთან დაარსებული უმაღლესი სწავლება ლენინს დაყენების ხელაზისა. ეს კურსი შეუძლიათ მოისმინონ ვარეშე პირთაც, რომელთაც ჰსურთ შესწავლა განსაკუთრებით ლენინს დაყენებისა. აქ სწავლა ორის წლის განმავლობაში სრულდება. მოწაფენი სწავლობენ, როგორ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ და მოეულა, ლენინს დაყენება და პატრონობა სარდაფეში, ქიმიკა ლენინს დაყენებისა, არაყის ხდა ჰაქისაგან და სხვ. ახალი წესდების ძალით იქ მიწის მუშებზე უნდა მოამზადონ იმ ყმაწვილებიდან, რომელთაც პრიველდაწყებითი სამეურნეო შკოლა ვაუთავებიათ.

უფალო რედაქტორა, უმოჩილესად ეთხოვთ თქვენის პატივცემულის ვაზეთის შემწეობით მაღლობა გამოავუცხადო იმ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს იოსებ მაჩაბელს.

სია შემომწირველთა: კნ. კ. ჰეგევაძისამ ხელთი მანეთი, კნ. ბ. ბარათოვისამ სამი მანეთი, კნ. ნ. თუმანიშვილისამ სამი მანეთი, ო. რჩეულაოვისამ ორი მანეთი, კნ. ე. ხიმშიაშვილისამ ერთი მანეთი, ბ. თულაშვილისამ ორი მანეთი, თ. ამირალოვისამ ერთი მანეთი, ნ. ზანდუკელისამ ორი მანეთი, კ. ზ.

ფაელენიშვილმა სამი მანეთი, ს. ნატიშვილმა ორი მანეთი, თ. ი. მაჩაბელმა ორი მანეთი, ნ. ფაელენიშვილმა ერთი მანეთი, ნ. თუმანიშვილმა ერთი მანეთი, ერთმა უცნობმა ერთი მანეთი.

„პარაკე მაჩაბლისა“

საკირაო ნახატებიანი სომხური ვაზეთი „ტარაზი“ აცხადებს, რომ სომხებში ქართულის მტოდნეთა—მკრტიის ნოვოსარდიანცს და დავით ტერ-დავითიანცს შეუდგენიან სალიტერატურო აზნანავობა, რომელსაც ვანუზხანაბეს თარგმნოს ქართული შესანიშნავი თხზულებები სომხურ ენაზე, სომხური შესანიშნავი თხზულებები ქართულს ენაზე და გამოაცეს ხალხე ცალკე წიგნებათ.

უმოჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, თქვენი ვაზეთის შემწეობით უგულითადესი მაღლობა გამოავუცხადოთ შემდეგ პირებს, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ასკანის სახლობა წიგნთ-საცეს:

ვასილ ზუნდაძემ—3 მ., დიმიტრი შვეარდაძემ—3 მ., ელიდიმერ მეკლადემ—3 მ.:—გიორგი მარგალიტაძემ—1 მ., გერასიმე ნინიძემ 2 მ., ქიშვარდი ნიკოლაიშვილმა—1 მ., მოსე საყვარელისძემ ასათიანმა—3 მ., ჩითან თალაყვადემ—3 მ., გიორგი ნიკოლაიშვილმა—3 მ., გიორგი ვასაძემ—2 მ., თეიმურაზ მიქელაძემ—2 მ., გიგო მიქელაძემ—2 მ.

გამგე წ-გან-საც-ეისა სილოზონ მ. ჭკუელი

ცრუმოწმე და აეშავი *)



მეჩენს მხარეს, ბნელით მოკულს, ერთი სენიუ გარდელია. ცრუმოწმე და აეშავი მეტის-მეტად გაგვიწიორა. საღ არ გინდა, ვისთან გინდა, ყოველგან და ყველასთანა, ცრუმოწმით და აეშავით გვიფუჭდება ჩვენ ქვეყანა.

*) აეშავი ნიშნავს მპეხლადანს.

ძმა ძმასა და შვილი მამას აეშავმა შეაძულა. თვით მკურნალი ამ სენისა მეტის-მეტად დააწყულულა. ვის რა უთხრა, ვის მიემართო, ვის შეეჩიელო ჩემი დარდი? მოძღვარმაღ რომ ცრუმოწმობით შეგვიკოჰა წყნარი ყდი. ქრისტე ლმერთმა ასე ბძანა: „არა სწავო ცილი ძმასა.“ მივაფურთხოთ ყველამ იმას, ვინც არღვევდეს ამ მცნებასა.

კარცხა

„მიამების“ საპასუხობად



ური, მტრობა, ცილის-წამება და ღენა, არც ერთი, იმ თავიდანე არ დამკლებია, მაგრამ, მაღლობა მოთმინების მომნიჭებელს, არც

ერთხელ მათ საპასუხობად არ მომიცლია!.. ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“ ე. ი. შორს ვერ წავა და დიდანს ვერ გასტანსო!. ჰეშპარიტია. ხანგრძლივი და საბოლოო მხოლოდ სიმართლეა. — ხმა ლეთისა და ხმა ერისაო“ რომ იტყვიან, ეს იმ წამიერ ლაღადს კი არ ნიშნავს, რომელსაც ფარსეველური უსამართლობა ზო

გვერ გამოიწყვეს ხოლმე!.. არა!.. იმ ხნას, რუმელსაც გულ-დამშვიდებული ერთ საბოლოო მსჯავრად სდებს და სწვილიწვილიად გადასცემს ხოლმე. ამას ისტორიაც გვიმტკიცებს: უცუეთის მამულის-შვილები სიკრატლემო თანამედროვეთავე ვაკცხულან, დენუ-ლან და წამებულან, მაგრამ ბოლოს კი იმავე ხალხს სიმართლე აუღვენია და „ხმა ერისა“ „ხმა ლეთისად“ გამხდრა. — არაინ ივიქოს, რომ ჩემს თავს იმ დიდებულ მამულის-შვილებს და მოღვეწევებს ვადა-რებდეს!.. მე მხოლოდ მოთმინების მაგალითს ვიღებ მათგან და რაც უნდა ითქვას ჩემ საპირადღად პასუ-ხის ვამცემი არა ვარ, იმთ ძრახვასა და ცილის წა-მების, რომ ავეყ და გამოუდგე, მაშინ თვით მე რალა უნდა გავაკეთო? და ან საღლა დამჩრება დრო? უსაფუძვლო მიმოთქმა თავის-თავდაც გეპარწყულდ-ბა!.. მაგრამ სულ სხვა არის, როდესაც საერო სამ-სჯავროში საჩივარი შევაქეთ და ზედაც ყალბ საბუ-თებს ურთობენ; მაშინ ვაჩუყება მოუხებრებელია და ბრალდებულის ძალა-უწყებრად უნდა გამოვიდეს სა-პასუხოდ. — სწორეთ ამ გვარ მდგომარეობაში მა-ე-ნებს მე დღეს ყურნალი „მოამბე“, რომელსაც თავისი უკანასკნელი „სალიტერატურო შენიშენები“ საბრალდებულო ოქმად შეუდგენია ჩემ შესახებ და საქვეყნად მამტყუნებს, რომ მე: 1) ინტელიგენციას უზინებოლად ვესაყვედურებო. 2) ჩემი სიტყუებით ჩემს გამოჩინოდ და სასიქადლო მიცვალებულებს შუენ-რატყუთას ვაყენებ; კუმბოზად კი ალარ ვასყენებ და ვბრუნებ, 3) ხალხს ლაფს ვასხამ, 4) უსაქცილო რამეებსა ვქადაგებ და 5) საძაგლობას და მექრთამო-ბას ხელს ვაფარებ. — ამის დასამტკიცებლად საბუთიც წამ-უდგენია, მაგრამ რადგანაც ის საბუთები სიმ-ართლეს მოკლებულნი არიან და სიყალიბთ ვადასხვა-ფერებული, აღარ შემიძლია, რომ ვაგუმდელ და თა-ვი არ ვიმართლო.

ეს ერთა ხანია, ზოგიერთების შურის-ძიებამ და დენამ ჩემდამო, იმდენე მიაწია, რომ ჩვეულ-ბრიე ცილის-წამებასა და ვადასხვაფერებას, რომ აღარ მაქარებენ, თვით ჩემ ნაწერებასაც კი აუკუღმართ-ბენ: წაყევენ თავს, აწყევენ ბოლოს, შოგა და შოგ თავის საკუთარ სიტყუებს შევაპრებენ ხოლმე და მე-რე, ვითომ გულ-წრფელად და არა მანეიკრად, ვი-ძახიან: „ევი, ეს რა ამბავია?! რაებას სწერს? რას გეკადაგებს? და სხვანი!.. ამის სამინუშოდ ჩვენ ვენიშნეთ ურიცხ-საბუთებიდან მხოლოდ რამოდენ-მესა: 1) შარშან სათავად-აზნაურო შკოლების გამო-ერთი ავი-უშველებელი“ ატუდა. ზოგიერთები ამ-ტკიცებდენ, რომ შკოლა ვერ ვაკვაყოფილებს! რომ ვთქვარობდით და გენდოდა მისთანა ველარ გა-მოღვა და ამიტომაც საკიროა მაგის წესდება შეი-

ცვალთ და შკოლა ვადაკეთდეს, ვადასხვაფერდესო. საყველურმა შკოლისადმი იქამდე მიაწია, რომ სახა-ლხოდ წამართქვეს: „თუ ეგ შკოლა დარჩა, თქვენ ნახათ, რომ თქვენი შვილები, მაკ სასწავლებლიდან გამოსულები, დამნაშავეთა საქამებზე ისდენ და ცი-მბირისაკენ მიგმგზავრებოდნო.‘ ამ გვარმა რამეებმა საქმე ვაამწავებს და ორივე მხარე თა-გამოდებული იყო. — მე რა მომავთქვებობდა, თუ აქაც პირადობა იყო და ზოგიერთები საქმეს სულ სხვა ვამჩრახეთ აქხარაკებდენ? — ნაყერი გულ-წრფელად, რჩევა მეცეკო კრებას, რომ შკოლის წესდებას ნუ შეეხებოთ, თე-რა მაკასაც დავგვარავთ და სამავიროს მაკ გვარს ველარას მივიღებთ-მეთქი. ეს ჩემი სიტყუა სიმართ-ლის მოყვარე რაინდებმა, იქვე ვადატრიოდეს თე-ლსა და ხელს შუა, მიუბრუნდენ ხალხს და ეფიც-ბოდენ: „ენც სკოლის წინააღმდეგი ხართ, ყველას მოლაოტეს გეცხისითა!“. ამით დღი უსამიყენებაც გამოიწვიეს სიტყუიერ ვადაუკუღმართებას რომ აღარ დაჯერდენ, ბეჭდოთაც რამოდენჯერმე ვაიმეორეს და შეუპოვრად მამტყუნებდენ. — ვაიარა ერთმა წე-ლიწადა და მეორე კრებაზე რა ენახეთ? შარშანდ-ლი მოწინააღმდეგები შკოლას ესარჩილებოდენ და ამტკიცებდენ: „ჩვენ ტუთულს გეწამებენ, თეარა არა-ოდეს წინააღმდეგი არა ვყოფილებართო!“. ხელი და-ფარეს შარშანდელ პროტაკოლოებსა და გეტების ფურცლებს, სადაც თავის აზრსა და სურვილს, არა თუ ჰვარავდენ, პირ-აქეთ ჩვენ ვესაყვედურებოდენ: „როგორ ბედათ სკოლის გამოსარჩლებას და გე-წინააღმდეგებთო!“. ასე ვასინჯეთ, რომ ერთი პატა-რა პარავრთის შეცვლას შესახებ, სწორეთ ის აზრი, ის სიტყუებიერ ვაიმეორეს, რომლისთვისაც მე შარ-შან ჯვარს მიცეუბ. თუ შარშან ისინი მართალი იყ-ვენ და ჩვენ ეტყუართი, ანუ ეცდებოდით, მაშ ახლა ისინი ტუთუან?.. ან იმ თვით უნდა იყონ მტყუანი და ან ამ თავით?.. ეს ცხადია, მაგრამ ისინი კი ასე არ თქვარებენ მაშინაც მართალი ვიყავით და ახლაც მართალი ვართო! — აქედან რა ვამოდეს? ის რომ იმ დლოაცილებს, მხოლოდ ის მიანიათ სიმართ-ლედ და ქვეყნის სასარგებლო კემშარიტებოდ, რაც მათთვის პირადით სასარგებლო და გამოსადეგია. შკოლის შესა-ებ კემშარიტება და სიმართლე თუმცა ყოველთვის ერთი და იგივეა, მაგრამ შარშან სხვა პირობა იყო მათთვის და ახლა კი სულ სხვა; რა-დგანაც შკოლა და შკოლის საქმე ხელ-სახოცად და პირ-ბადედ ვაუხებდად და როგორც ნებათ ისე ატ-რიოდებენ, აღბთ შარშან ისე უჯობდათ და წელულს კი ასე!.. ეს ისეთი ნათელი საქმეა და ადელი წა-მოსაღვენი, რომ თავის ვასამართლელად კირიტსაც ველარ უნდა სძრავდენ ის ვაყბატონები, მაგრამ ნა-

თქვამია: „სოფელი ენახე უხალხო, შიგ გავიარე უჯახო“. იციან რომ შერჩებოთ, რაც უნდა ჩაიდინონ და ნამეტანი თაე-გასულობით, თითო-ორიოლა მოწინააღმდეგეებსაც დედა-მიწასთან ასწორებენ.

2) ეტხელ „კალში“ წარმოეტევი, რომ „ჩვენი ყველა ნიჭიერია, მაგრამ ცოდნა და შრომის მოყვარეობა გვაკლია-მეთქი“. ამას მოაუღეს ხელი, გადასხვაფერეს და გაზეთებში დიდხანს კიფინას მცემდნენ: „აკაკი ამბობს: რადგანაც ჩვენი ყველა ნიჭიერია, სწავლა და შრომა საქონელ აღარ არისო და სხვანი.“ — დიდხანს მიკიფინეს: ზურნა დაუტერეს, კინტარუს უღლიდენ და თანაც მეცითებოდნენ: „აბა, სად არიან და ეინ არიან ის ნიჭიერებიო? რაცა ვართ, სულ აქ არა ვართო? ჩვენს მეტი ეინლა დარჩა?“ და სხვანი.

3) ჩემი ლექსები რომ გამოიცა, იქიდან ამოგლიჯეს ერთი პწკარი და ქვეყანას არწმუნებდნენ: აკაკის საქართველო სძულს და ეწიზღებოა. ასე ამბობსო, რომ „ფურთხის ღირსია საქართველოა!“

ბარათშილის დასაფლავების გამო რომ ეთქვი: გერგენიში დიდი ფასის გადაყრას, ისა სჯობია, რომ გერგენიები იაფ-ფასის გაეკეთებინათ ხოლმე და ფულები კი ფონდისთვის გადაეღვათ-მეთქი“, აი, ეს როგორ გადააკეთეს: „აკაკი თხოვლობს, რაც მერგობოდეს, სიცოცხლეშივე დამიხურადეთ და მომეცითო, სიკვდილს შემდეგ აღარა მინდა რაო“ და სხვანი... ეს მოკატარეს და ამიგდეს სასალილოდ!.. მაგრამ გულში კი თვითონაც გრძობდნენ, თუ მე რა მიწა და საზოგადოდ და ან კერძოთ იმათთვის, რა უნდა მეთქვა? აი რა: „მე თქვენ არა თუ სიგატსლეში, სიკვდილს შემდეგ აქმს მქვს არას ვისთვის, რომ თავიან მომშორდეთ და ჩემი საფლავის სასადაოკაცად არ გააბრათ, რადგანაც ფარსიკვლაა ვოკუდეთვის შეკუჭრ-ბოდა“.

5) ყაზბეგის დასაფლავების დროს სხვათა შორის ეს ეთქვი: „უშუაბრესია მოღვაწეებს სიცოცხლეშივე მიეპტკოთ ხოლმე ყურადღება, ეცდრე სიკვდილს შემდეგ! ეინ იცის, ეგება ახლაც ვაჭირებამში იყოს ეინმე ნიჭიერი, არა ნაკლები ყაზბეგისა და ჩვენ კი სანამ არ მოკვდები, ვერ გავიგებთ-მეთქი“ (აქ მე ავადმყოფი ნინოშვილი მყვად მხედველობაში), ესეც იუცხოვეს, მაგრამ გულში კი მოხედით და მეორე დღესვე ჭონდიდან თვითურად 15 მ. დაუნიშნეს ნინოშვილს!.. ეს მხოლოდ ნაშუსის გაშასწქნჯათ მოხდა, თუარა კარგად იცოდნენ, რომ დიდ-ბარჯში არ შევიდოდნენ, რადგანაც მაშინ ნინოშვილი უიმედოდ იყო. აი, რას იწერებოდა საბრალო: „გმალობობთ, მაგრამ ეს შესაწევარი ცოტა დაგვიანებულთა არისო: მე დიდხანს ველარ ეცოცხლებოდა მართლაც მალე მიიკვალა. მაშინ კი, რასაკვირ-

ველია, ჩვენი მოწინააღმდეგენი წაიღენ გურას, გერგენი წაიღეს და სიტყვა უთხრეს მიტეხებულს, სიტყვით სიტყვად ის გაიმეორეს, რაც ჩვენ ყაზბეგის შესახებ ვთქვამო!.. მაგრამ გამაღვა, რომ იმათ ნება არ ჰქონდათ, იმგვარი რამე რომ ეთქვათ, და განსვენებულის ამხანაგებმა ფარსიველურად ჩამოართვეს და საყვედურებით გამოისტუმრეს. ემ, რომელი ერთი ეთქვათ?! — უშუაბრესია გადავიდეთ პარდაპირ „მომამბეზ“ და ვაგინილოთ მისი კრიმანჭული საბუთები.

მე რომ ერთ გვარ ინტელიგენტებს თუთიყუშებს, კაქკაქებსა და ფარსიველებს ვეძახი, ეს ამას არ ნიშნავს, რომ ამით საზოგადოთ, მთელს ინტელიგენტობას შეურაცხ-ყოფას ეყუენებდ:

როდესაც ხალხს ერთი მოციქულია, ან წინამორბედი ეინმე მოველინება ხოლმე, მაშინ იქ, იმავე, დროს, მრავალი ცრუ მოციქულ-წინამორბედებიც გამოდიან ხოლმე.

სადაც ერთი გმირია, იქ ათასი ნაცარქქიაა. — რომ ეიანგარიშოთ ერთ ნამდვილ ინტელიგენტზე, ათი და ოცი მოჩვენებული, ე. ი. ცრუ და ყაღბი, ინტელიგენტი დაგირჩება ხელში. ეს საზოგადო კანონია და რასაკვირველია, ამ კანონთან ვერც აეცილდებოდიო? ჩვენშიაც არიან როგორც ნამდვილი, ისე ყაღბი ინტელიგენტებიც. ჩვენდა სამწუხაროდ, ცხოვრებას ისე მოუტანია, რომ ის ნამდვილი მუშა-ინტელიგენტები ღობეს გადაღმა ჩრებიან და ქვეყნის თვალში არც სჩანან, მაშინ როდესაც ყალბები კი, თვალსაჩინო ადგილებზე გამოქიმულან, როგორც მეთაურები და ვარსაც მონებსა და ყურ-მოკრილ ყმებს შემოიკრებენ ხოლმე. ვერ არც ერთი საზოგადო საქმე არ დაწყებულა ჩვენში, რომ ინიციატორებად და საქმის გამხორციელებლად ის ღობეს გადაღმა დარჩენილები არ ყუთილიყო. — მაგრამ, ნათქვამია: საწლი რომ აშენდება, ყველაზე პირველად შიგ ბუზები შეფრინდებიან და დასადავურებო! თაღლითები როგორც კი დაინახავენ დამთავრებულ საქმეს, აქა და გამოსარჩენი და გამოსაჩენი რამ არისო, მიცინვდებიან, ჩააულებენ ხელს და ენატრონებიან, ნამდვილი მოღვაწეები კი ვარეშით ჩრებიან. — მაგალითად ავიღოთ დ. ყოფიანი! იმისი საქმე არ არის: „ბანიკი“, „წერაკითვის საზოგადოება“, „რამატრული საზოგადოება“, „სკოლები“ და სხვანი? ეს ეინ არ იცის, მაგრამ ის კი ყველა ამ ადგილებიდან ბოლოს გამოქმეებული შეიქმნა!.. ისევე შევიძლია, რომ სხეებზედაც ეთქვათ. — აბა: გადავავლოთ თუ-ლა ჩვენ პატარა-პატარა დაწესებულებათ, ეინ არიან აქ შინა კაცებად? მისთანები, რომელთაც არც წარსულში რამ მიუძღვით, არც მისამელისათვის რა-

სმე გვიქვამდა და აწმყოშიაც, თუ რასმე წახდენენ, თერა ვერას გააკეთებენ.—რა მიზეზია ეს? ნამდვილმა, მუშაკებმა რა დააშვეს, რომ უნიკობმა თავზე გადალაგეს? ის რომ ვისაც ნიჭი აქვს და თავისთავის იმედო, სხვის ბატონობას ვერ აიტანს და ვერაყის დამონება!.. სწორედ იმ გვირაკი ყალბი ინტელიგენტები არ მოაწონან მე!—იმათ გვიცხად და ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვითომც საზოგადოდ ინტელიგენტობას ვდევნიდ. ჩვენ ვინც მიგვჩინა ნამდვილ

ახალ თაობად და ქეშპირით ინტელიგენტად, იმას ვერ ხედვენ, ანუ უკეთ ვთქვათ, თვალს არიხდენ, „სალიტერატურო შენიშენების“ შემდგენელი და ვასაც ჩვენ წუნსა ვსდებთ, იმას კი ხელს აფარებენ და მარტო ისინი მიანიათ წარმომადგენლებად!.. დევიკითხვებმა ვასამართლოს, ვინ სტყუა ჩვენში და ვინ არა?

აკაკი

(შემდგომი იქნება)

ფარისევლის და მეზვერის იგავი

(გუმუღნი ი. სიმონისკ)



სიმონიძე მეტად გამწყარალა „სახუმარო გასართობზე“, რომელიც „კვლევა“ იყო დაბეჭდილი; იმას ყოველივე ქარი, ცილისწამება, საძაგელი მითქმა-მოთქმა, რომელიც, დიდხანია იარალთ გამხდარა ჩვენ საზოგადოებაში უსიამოვნო კაცების ჩასაქალავად, უკვე ჩვენსკვ გამოუტყურცნია. ნეტა ვინ არიან ხოლმე ასეთი უსიამოვნო კაცები საზოგადოებაში? ყველა, ვინც კი პარდაპირ ლაპარაკობს, მოღვაწესაც და არა მოღვაწესაც პირში ეუბნება: „არა ცილი სწამო, არ დაიძინო, სხვის წინ ნუ ეღობები, ყველაფერი მარტო შენ ნუ გინდა მუცელში ჩაინთქა, თუ მოწინავე მდებარე ხარ, წინ იარე, თუ არა, შენზე უფრო მხნეს და ახალგაზრდას დაუთმე, თუ კარგი პედაგოგი ხარ, ერთხელევე გაკვალულ გზას ნუ უმტყუნებ, მტერს იარაღს ნუ აძლევ ხელში გადაუტყობებლის ხელსამძღვანელობის შედეგით, თუ კარგი ვნით წერა გინდა, შენ საკუთარ უცხო-ქართულ ლამაზტაკს ნუ იგონებ, ძველი ქართული მწიგნობრობა შეისწავლე, უმრავლესი ხალხის ცოცხალი ენა შეიგნე და ისე წერე, თუ მეტრონიკობა გინდა, ქრონიკები ახალი მეცნიერების მოპოვანი წესებისამებრ შეადგინე და არა მატარის ნაირად, რომელშიაც ბევრი სიცრუეებია შეპარული, თუ საზოგადო საქმეები ხელში გიჭირავს და მეთაურობას ჩემობ, ანგარების მოყვარე ნუ იქნები და განსვენებას ნუ ეძებ, რამეთუ არა უწყია, ოდეს მოვალს მგელი ცხოვართა წარსატაცებლად, თუ ქვეყნისა და დაცემული ერის გულ-შემატყეირი ხარ, ნუ უღლები გვერდით მარტო შეძლებულ უმცირესობას, არამედ იღეავე ღარიბთა და გათასობრებულთათვის და მაშინ შეძლებულს უმცირესობასაც ეს მოუხდება“. აი, ეს არის დედა აზრები „კვა-

ლის“ მწერლებისა; გამედღურებულ მოღვაწეთათვისაც ისინი არიან უსიამოვნო პირები, რომელნიც, მათის აზრით, უნდა ამოიფხვრან.

ეკეთ მაგათო, — გაიძახიან ისინი — ნურაფრით ნუ დაზოგავთო, ნურც ცილის წამებით, ნურც ბუნჯობით, ნურც სიცრუით, ნურც ქურით, ნურც მითქმა-მოთქმით. რაც ქვეყანაზე არაწმინდა მოქმედება იყოს, ყოველივე იმ უსიამოვნო კაცებს დააბრალეთ; არ აღიფხვრას მათი სინსილა, მაშ რა იქნება!.. როცა ეს მოხდება, აი, მხოლოდ მაშინ განვისევნებთ ჩვენ ქვეყლისმომქმედართა — იტყვიან ისინი.

„ეინ უფრო საღს საზრდაღს აძლევს ქართუღს გონებასა: ჩვენ, თუ ღირსეული წყვილი ერთად შეეკვილი? (აქ ორ-აზროვნებით არის ნათქვამი, უნდა ვივუღისხმოთ ან აკაკი და გ. წერეთელი, ან „კვალი“ და „ჯგუფილი“ და ან კიდევ სხე). — შევალადღებს საზოგადოებას ი. სიმონიძე.

— რასაკვირველია, ი. სიმონიძე — ჩვენც ეუბასუხებით.

„ვისი მოქმედება ნაყოფიერი უგნურის ტენის მღერისა: ჩვენ, თუ იმ, აკაკისა არ იყოს, ორთავა ნეუღანჩიკისა (ივუღისხმე გ. წერეთელი), რომელიც მეცმეველთა კაღმის შემწეობით სცდაღობს დაიმსაზუროს ღიდებელი მთელის სახელი, როადესაც იგი ზოგან ნახევიარა, ზოგან მესხელი და არც ერთს სვერიაში მთელი?

— რასაკვირველია ი. სიმონიძისა.

— „განა ჩემზე ოდესმე უთქვამს ვისმე, ან დუუბუჭად, რომ სასწაურო ბანკში დაჯიგრაჟა უკვი წინად გაუადუღა მამუღი, ზარალი მისცა ბანკსა, რომლითაც თავად-აზნაურთა ოღლები იზრდებიან? (აფერუბ, ბ-ნო სიმონიძე, აფერუბ!)

„განა მე რომელსამე ქალქში ღვარღვანია ყოფა-ქვეით მეტ სახელად დამიმსახურებია მთელის საზოგადოებისაგან ანაფუხს ძე? განა...“ (ჩოხ გელდი, ი. სიმონიძე, ჩოხ გელდი!)

ნეტავ ვიცოდეთ, რა დამოკიდებულება აქვს ამ საძაგელ ჭოროს და ცილისწამებას საგრამატიკო პოლიტიკასთან?

„განა მე რადისმე მიმითვისებთ ჰეროდოელი გამოგონებ, დაარსებული მთელი ამხანაგობისაგან და მისი შეტყუებით გაჭრელებული სწოვადებაში (ასევე მართლად დაუბეროს ღმერთმა, ბნო სიმონიძე!) და მითქვამს ჩემზე მინდობილ ამხანაგთათვის: ...მიბრძანდით აქედგან თქვენი ნოკარიული ხელშეკრულებით, თორემ ახლავ პოლიციას მოვიხმარო?“ (აგრემც მართლად დაბერდით, ბნო სიმონიძე!)

თქვა უფალმა იგავი:

„ორნი კაცი აღვიდოდეს ლოცვად ტაძარსა მას: ერთი ფარისცევი და ერთი მეზვერე. ფარისცევი იგი წარსდგა და ამას ილოცავდა თვისაგან: ღმერთო!


გმაღლობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხენი. კანი, მტაცებელი, ცრუ და მებრუნე, გინა ვითარცა ესე მესვერე. ვიმახსავ ორ გზის შაბადა შინა და ათეულსა შეესწირავ ყოველისაგან მონაგებისა ჩემისა.

ხოლო მეზვერე იგი შორს იდგა და არა იკატრებდა თეალოცა შევლილვად, არამედ იცემდა მკერდასა და იტყუადა: „ღმერთო მიღბინე ცოდვლას ამას!“

„ამინ გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელმან აღიზალოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს და რომელმან დაიმიდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს.“

ვისცა ყურნი გესხან, ისმენდეთ.


გ. წერეთელი



სტანლის თავმადს-ველი

დასასრული *)

სტანლი რამდენიმე ხანი დარჩა კაბაკა მტეხასთან თავისი ჯარით და ისე კარგათ იყო უგანდას ხელმწიფესთან მიღებული ის და მისი ხლებულები, რომ ნეტაი, ბევრი განათლებული ხელმწიფე მოექცეოდეს იმგვარად უცხო ქვეყნელებს. მტეხას უყვარდა სტანლისთან საუბარი. ის იყო მამადიანი. ერთხელ სტანლიმ მტეხას ჩამოუჯდოლა პარაკი ქრისტიანობაზე. ისე ცოცხლად და დასურათ-ხატებით უხსნიდა იესო ქრისტის ცხოვრებას, რომ მტეხა და მისი კარის კაცები ყურთასმენათ გადიდებენ. მან უთხრა, რომ



სტანლი: ნაკვებს ზურგით ეხადებოდა, მათიჭადენ. ე


ქრისტიანობა და მამადიანობა ერთი ძველი ებრაული სარწმუნოებიდან არის წამომდგარიო. მტეხას ძალიან მოეწონა სტანლის ამბავი და ქრისტიანობაზე გული შეუვიდა, ან როგორც ქართლში ამბობენ, გული შეუვიარდა. ბოლოს სტანლი უნდა აბარეულიყო, რადგან თავისი წადილის ასრულებას მიეშურებოდა. მტეხა პატივობდა, კიდევ დარჩიო. მას არ უნდა და თეთრი ევროპელის მოშორება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სტანლიმ დიდი ბრძოლა მოაგებინა განდგომილების წინააღმდეგ და დაუმშვიდა წინააღმდეგ მხარე. მაგრამ ბოლოს, მეტი ღონე არ იყო, უნდა დათანხმებოდა. მან გასცა ბძანება სტანლის ჯარისთვის დიდი საგაბალი მოემზადებინათ და

თვითონ ათასი ჯარის კაცი თავის მხედართ-მთავრთან გააყოლა. მაგრამ ეს მხედართ-მთავარი, სახელთ სამ-

*) ისილე აკადლი № 35.

ბუზი, ვერ გამოჩნდა პატროსანი, მან დაუწყო სტან-
 ლის მზაკრობით მოპყრობა და ბოლოს გაქურდა
 კიდევ. სტანლემ მოიკლა იგი მისი ჯარიანა თა-
 ვიდან და მტეზას მიწერა სამბუზის მოქმედების საკადრი-

დაც ერთხელ იპოვა ლიენგსტონი; მას ეს ტბა უნ-
 ღოდა უფრო დაწერილებით გამოეკვლია თავის
 გარემო მდებარე ალაგებით. სანამ ტანგანაიკის ტბას
 მიაღწევდა, ის შევიდა კარაგუეს სამეფოში, რომე-



ს ტ ა ნ ლ ე ი : ახლიან უჭირდებოდათ, რაი კლდეს ან დატაკებოდა წავი და ან დასისეგრეულიყო.

სი წიგნი. უგანდის ხელმწიფემ სამბუზს ამ ამბის გუ-
 ლისთვის თავი გაავლებინა.
 პანრი სტანლეი გაუღდა გზას სამხრეთისკენ.
 იმას უნდოდა ტანგანაიკის ტბასთან მისულიყო, სა-

ლოსაც ჰყავდა კერპთაყვანისმცემელი მეფე, მაკრამ
 ისეთი კეთილი მოხუცი, რომ სტანლეი მისი მასპინ-
 ძლობით სრულიად კმაყოფილი დარჩა. აქ სტანლეი
 ავიდა ერთ მთაზე და მის თვალგზს წარმოუდგა შეე-

ნიერი სანახაობა, ძირს მის წინ მზის სხივებზე ალ-
მასივით ელვარებდა მარჩილი ტბა ვანდრემერი.
მარჯვნივ დაფინებოდა მწვანელოვანი თვალ-გაღუ-
წდენელი მინდორი პაპირუსისა, რომელშიაც ალ-
მასის გველივით მიიპარებოდა განიერი მდინარე კა-
ხრისი. იქით მიიგრინებოდა ცაყვარლოვანი ქედები,
რომელთა შორისაც ღრმა ქალღემში ქოთანედნ ხევის
მდინარეები. ოთხმოც-დათი ეფრის სიზოარზე შა-
ქის თავებივით ამიართებოდნ მთის წვერება უფუ-
შვიროსი. ტბის ვანდრემერის პირად სოფელი მაჩა-
ნდა და იქ მესრით შემოღობილი განიერი ეზო იუ-
კრპათაყვანისცემლის მეფის რუმანიკოსი, რომელ-
მაც ასე გულუბვად უმასპანძლო სტანლეის და მის
პაწია ჯარს. აქედან სტანლეი მალე მიადგა ტანგანა-
იკის ტბას და შევიდა უფროს ნავთ სადგურში.

ტანგანაიკის ტბას ოთხასი ეფრსტა სიგრძე აქვს
და სამასს ეფრსტე მეტი სიგანე; სტანლეიმ დაწერი-
ლებით გაიკნო ეს ტბა, შეადგინა მისი პლანი და
შემდეგ განიზრახა დასავლეთისკენ გამგზავრება ჯერ
კიდევ უცნობ ქვეყანაში.

შესანიშნავი ლეგენდა აქეთ იქაურ მცხოვრებ-
ლებს ტბის ტანგანაიკის გაჩენაზე.

ოღდემე აქ ყოფილა ერთი მთავარი მფლობელად.
ამ ქვეყანაში გამოჩნქუბებდა ბროლსავით გამ-
სქვეერი და ყინულსავით ცივი წყარაოვო. მასში მრავ-
ელობდენ გერჩიელი თევზები, რომელთა სიხუებით
იკვებებოდა ის ქვეყანაო. მაგრამ არაინე კი არ იცო-
და, საიდან გამოდიოდა წყარო, მთავრისა და მისი მეუ-
ღლის მეტმა: მთავრის მეუღლემ ერთხელ იმ წყა-
როში დაჭერილი თევზები გაუზხაუნა თავს საყვა-
რელს, შეწვიერს თვალ-ტანადს ჭბაუსს. მას ძალიან
მოეწონა გემოთი ეს თევზი და ჩააცივდა მთავრის
ცოლს: მაჩენენ და მაჩენენ, სად არის ეგ წყარაოვო.
ქალმა ველარ გაუძლო მის თხოვნას და გაუტყუდა
საიდუმლოის. როგორც კი ახალ-გაზდა კაცმა დაინა-
ხა წყარო, ერთი იხუტლა ცამ, გასკადა დედა-ამოშა
და წყარო გადიქცა უშეუღლებლ მდინარედ, რომე-
ლმაც შთანთქა მდინარეები, გორები და ტანგანაიკის
სიერცებე გაკეთდა ტბაო. მთავრის მთელი საბრძა-
ნებელი ტბას ქვეშ მოექცა. ამ სახით ერთმა კალის
ცოლდამ დაღუპა მთელი ქვეყანაო.

სტანლეი რამდენიმე კვირის მგზავრობას შემ-
დეგ მიადგა ერთი მდინარის სათავეს, რომელსაც
უფრო და სახელად ლიენგატონი და ადგილობროვად
ერთქა ლულაობა, აქლიანდელი კანგო. სტანლეიმ ამ
მდინარეს სიერცებე შეატყო, რომ იგი უსათუოდ
ატლანტიდის უკანეში უნდა ჩაღიოდესო და განიზ-
რახა თავისი ნავით „ლეღა ალისათი“ ჩაყოლოდა
თავდღმით, მაგრამ გამოუტხადა თუ არა თავისი გა-

წზრახვა, ხლებული არაბები აიშლენ. ისინი გრძო-
ბდენ, რომ ეს უცნაური მდინარე შთანთქადა მათ
საუკუნოთ და უარზე დადგენ, არ უნდოდათ მგზა-
ვრობა ვანეგრძოთ. რამდენი ზნეობითა ღონე უნდა
ენმარა სტანლეის, რომ ეს ამაოდ მოჩწმუნე გამზა-
გებული არაბის ჯარი დაეყენებინა. სანამ ამ მდინა-
რემდის მიატანადე, სტანლეიმ და მისმა თანამგზა-
რებმა არაბებმა ვადაიარეს რამოდენიმე ქედები
და ამისთანა ადგილებში ნაგები ბაწრებით უნდა ეთ-
რიათ. ამ ქედებზე ისეთი უტეხი ტყეები იყო, რომ
ჯერ კაცის ხელი იმათ არ შეხებოდა. ადგილობრივ
მცხოვრებლებმა და მისმა უფროსებმა დიდი საშა-
ხური გაუწიეს სტანლეის მითი, რომ იმ უტეხ ტყე-
ებში გზას უკაფუდენ. ერთხელ სტანლეი და მისი
ჯარი კონგოს ნაპირს იხდენ და უნდოდათ მდინა-
რის საშუალებით ვანეგრძოთ მგზავრობა.

თვით სტანლეი სწერდა თავის დღიურს და ად-
გენდა გეგმებს. უცერაუ ატყუდა საშინელი ხმაურით.
გაიხედეს და შეიარაღებული ჯარი წამადაკათ
თავზე.

— რა ამბავია, რომ შეიარაღებულნი მოსულ-
ხართ - ჰკითხა ამათ სტანლეიმ. თქვენ ხომ ჩვენი
ძმა და მეკობრება ხართ?

— მუნდემე (ტუტო ეპარო), ჩვენ შეგნიშნეთ
რომ შენ მაგ ტარა-ტარაზე (ქალაღმდე) რაღაცას
ხატაეო - უპასუხა ჯარის უფროსმა - მაგას ეერ შერე-
ბი კარგსო. ჩვენ მაგ კუღიანი ხელობის გამო ბვერი
ზარალი მოგვეცემა, საქონელი გავგიწყდება, ჩვენც
ამოწყლებით. ვანა ევ არის შენი მეკობრება? რა
დაგვიშაგებთ: შენთვის სიკეთის მეტი? ახლავ დაწვი,
ჩვენ თვალწინ, რაც დაგიწერია, თვარა ჩხუბი უნდა
გავიმართათო.

სტანლეიმ უპასუხა: — მამ ცოტა მოითინეთ.
ის შევიდა თავის კარავში და დაელოა შექსპირის
წიგნს ზელი, რომელი ნამდვილ მის დღიურ წიგნს
მიემგზავსებოდა და გამოუტანა მათ: თავისი დღიური
კი დაძმაო.

— ჰა, თუ არ დაგიშლიათ, ჩამიგდია ცეცხლში.
მოიქნია მართლა შექსპირის თხზულება და ჩააგდო
ცეცხლში.

ველური ხალხი სრულიად დაკმაყოფილდა ამით
და სტანლეი ერთ ხნოვთს გადაჩნა.

კონგო, რომელსაც სათავეში ლულაობის მდ-
ინარე ეწოდებდა, გამოდის ნუნიანზის ტბიდან, ჯერ; მიმ-
დინარეობს დასავლით, მეტე მოუხვევს ჩრდილოით,
შემდეგ სამხრეთ-დასავლით და ერთისი ატლანდი-
დის უკანესს, სიკემ ამ მდინარისა ხუთი ათასი ეერ-
სტია. მას ერთისი მრავალი დიდი წყლები. თითოე-
ული მათგანი კონგოზე ნაკლები არ არიან. ამ მდინა-

ნარეს ალაგ-ალაგ თექვსმეტი ვერსი აქვს სიგანე და ჰაეს თეთოთა ტბას. ამ სიგანის შესაფერად სიღრმეც დიდი აქვს. სამწუხაროდ ხშირად ეს მდინარე მალე კლდეებში გადადის ჩანჩქრებით და ამისთვის საშიშია მასი ნავით მოგზაურობა.

ამ მდინარის კიდევებზე მრავალი ხალხია დასახლებული და მათ შორის ბევრი თოვებსაც ხმარობს.

მრავლისაგან უმრავლესი ვასაქირი გამოსცადა სტანლეიმ და მისმა ჯგერამ ამ მდინარეზე მგზავრობის დროს. აქ ბოლოს დროს უბედურებაც არ აცილდა სტანლეის. ისინი შორს აღარ იყვნენ ატლანტიდის უყვანესთან. მისი თანა მგზავრები ერთი მეორეზე დილუმენ ამ მგზავრობაში. უყანასკნელად მოკვდა ფრენსის პოკოკიც. ხან-და-ხან მცხოვრებლები მტრულად ეკიდებოდნენ, სასმელ-საქემელს არ აძლევდნენ და თან ჩხუბსაც უტახებდნენ. სტანლეის ხშირად მოხედებოდა ხოლმე ორ ცეცხლში ყოფნა: ან ცივებით უნდა მომკვდარიყო და ან მოწამულს ისარს ეკლურის კაცისა განეგმირა მისი გული. ბოლოს დიდ გაჭირვებას შემდეგ მიუახლოვდნენ ერთ პაწია ქალაქს ემბომას, სადაც ინგლისის სახელმწიფოს წარმომადგენელი ცხოვრობდა.

სტანლეიმ დაწერა წიგნი და გაატანა ერთს თანამგზავრს რობერტს, რომელმაც იცოდა ინგლისური.

„ბატონო რეზიდენტო ემბომისა. მე მოვედი ცანცობარადან, თან მომყვა ას თუთხმეტი კაცი. აქაურმა მცხოვრებლებმა არა მოგვედგინა-რა და გვემუქრებოდა გაწყვეტას. როგორც ქრისტიანს და კეთილშობილ კაცს, გთხოვ, შეიწყნაროთ ჩემი თხოვნა. გამომიგზავნეთ ათას ხუთასი ადგილი ჩითი და თუთხმეტი კულუბი ფეკური. ამის ფასს გაახლებთ პირ-და-პირ. გთხოვთ ამ ორ დღეში მომამეველოთ, თვარათუ დაგვიანეთ, ხალხი გამიწყდება შიმშილით.

ინგლის-ამერიკის ლაშქართა უფროსი, აფრიკეთის გამოსადიებლად მოსული ჰანრი სტანლეი“.

ორ დღეს დიდს ვანსაცდელში იყვნენ. მესამე

დღეს ერთმა ბეშმა წამოიძახა; მოდიან, მოაქეთ ხორაკიო.

დღი აღტაცება გაისმა დალილილა და მშიერ-მწყურვალს ხალხში.

იმ პატიეცემულს კაცს ყოველიფერი ბევრი გამოეგზავნა, ასე გასინჯე, ყავა, ჩაი, ბისკე-ტები და სხვა-და-სხვა ევროპული ლინოვებიც.

ამ სახით 9 ავგუსტოს 1877 წელს, თითქმის სამის წლის მგზავრობას შემდეგ, სტანლეიმ გაქრა ერთი კიდილიდან მეორე კიდეშდის აფრიკეთი და ცანცი-ბარიდან წასული გამოჩნდა ატლანტიდის უყვანის კიდეზე.

მის თანა-მგზავრმა არაბებმა მეტისმეტი დალილილობისგან შესვენება ევლარ გადაიტანეს და, როგორც ბუზები, ისე იხოცებოდნენ. ჰანრი ამხნეებდა იმით; მაგრამ არაბნი ისე დაეცნენ სულით, რომ აღარა ესმოდათ რა.

— აბა, ვის გინდათ ცანციბარში დაბრუნება, წამოდით ცეცხლის გემზე—შეეკითხა სტანლეი.


— ბატონო, მაგას ნულა გავეხსენებ. ეგ ისე შორს არის, რომ ჩვენ შინ ევლარ დავბრუნდებით.

— აგრე ნუ მოეშვით სულით, თვარა სულ დაიხოცებით. შეიღებო, გამხნევით. როგორ დალაჩრდით, დაძაბუნდით, კაცები არა ხართ? მაგრამ ამის პასუხება უბედურები მწუხარედ აქნევდნენ თავს და ამბობდნენ.

— ღმერთთან რა უარი შეგვიძლია! ბატონო, დაგვანებთ თვით, დაგვაძალეთ მინც სიკედილი, მალე მივეცივით საუკუნო განსვენებას.

ვინც კი გადარჩა, ჩასხდნენ გემში სტანლეისთან და, სანამ სანამ ინგლისს გამეზგავრებოდა, ჯერ ისინი ისევე ცანციბარში მიიყვანა.

როცა სტანლეი მიემგზავრებოდა ინგლისს, ეს საწყლები დიდი სიყვარულით გამოეთხოვენ ელმე მას ამ სიტყვებით: სიკედილამდს თქვენ ყმაღ დაერჩებით და თუ ოდესმე კლდე გვიბრძანეთ თან ხლებე, ჩვენ მზათ ექნებით ყოველთვის და თქვენ სასამახუროთ.



ბ-ნი ყორდანია და მისი ქრონიკები *)



რონიკები ჯერ არ დაბეჭდვდნენ ყორდანია და „ივერიაში“ კი ვილაც იგრეკმა გამოაცხადა შემდეგი: „ყორდანიათა ერთას დიდის წიგნის

მასლა დაუმზადებია და გადაუცია სტამბისათვის დასაბეჭდად.. ჩვენ შემთხვევა გექონდა გადაგვეთვლიერებინა საკორექტურო უფურცლები ამ წიგნისა... ეს წიგნი ნამდვილი განძი იქნება ჩვენს სამეცნიერ-

ეკუთვნის ისეთ პირს, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არ აქვს „გუბლის“ რედაქციასთან, ვუტყვავთ მხო-

*) ეს სტატია დიდისანაა, რედაქციამა მოსული და

რო (?) საისტორიო მწერლობაში, დიდი შესაძობი და დიდი წყურვილის მომკვლელი... ამას ვარდა, ავტორს აღმოუჩენია (?) უპოვნია (?) გამოდმებულის (!) ძიებითა და ზრუნვა-მეცადინეობით მრავალი სხვა საისტორიო მასალაც, ჯერ არსად არ დაბეჭდილი... ამ მასალათა შორის ყოვრდანი ასახელებს თორმეტამდე ქრონიკას, 3000 სიგელ-გუჯარს, სიებს კათალიკოზთა და მეფეთა, ყოველივე ეს დიდი საუნჯეც, ეს ფსადუდებელი სალორო მოუპოვებია კაცს... და გვეუბნება: თქვენთა წარსულ დროთა ამბავი, თქვენთა მამა-პაპათა თავ-გადასავალი, წარსულთა დროთა სიბნელის განმანათლებელი ღამპარი (მართლა მპარი!) მე მაქვს ხელშიო. მე ვიყავ სიბნელით მოცულს (მოცულ) წარსულის გამოძიებაში, იქ ვპოვე შუქი, იქ ვპოვე მზე (აკლია-და: იქ ვპოვე მთვარე, იქ ვპოვე ვარსკვლავები), იქ აღმოვაჩინე სიოცხლე, (იციოცხლე, იგრეკო!), რომელიც სჩქევ დაუშრეტელ დაუშრეტელი და ახლა, ელადენის ჩემის ღვაწლის შემდეგ, მოიღო და დავწაფეთ ამ წყაროს, მოიღო და უტკირეთ ამ ნათელს, ამ გაშუქებულს სიბნელეს თქვენის მამა-პაპათა ცხოვრებისას. ხოლო ყოველ ამ სიკეთეს ისე ვერ იხილათ, ყოველს ამ თქვენთვის ძვირფასს და ფსადუდებელ საუნჯეს ხელში ისე ვერ ჩაივადებთ, თუ არ-ორი გროში და შაური არ გამოიღოთ (ამდენი რახან-რუხის მიხეზიცი-სწორად ეს გროში ყოფილა! ენა ტკბილი, ენა ტკრელი მელასაც გამოიყვანს სოროდან!). მომეციო ღონისძიება... უტყენი მოწმენი ჩვენთა წინაპართა მოღვაწეობისა განვახლო (ისტორიული მასალა და გახლდება!), განვასეტყავო, მოერთო-მოცემაზო და ავალაპარაკო სადიდებულად ჩვენის ქვეყნისა და ვასაოცრად (!!!) განათლებულის ევროპისაო.

ღოდ მისთვის, რომ შეითხველიათვის საინტერესო უნდა იყოს ისეთი გარეშე პირის პირით. ჟორდანიას ქრონიკების შესახებ, რომელიც, როგორც ეტყობა, გარეთ უნდა იცნობადეს ჩვენს ისტორიულ ლიტერატურას. მართლწერა ავტორისა დაწვლია. რიცხ შეესება აკვლის? რუდ, რის, თავის საკადრისათ ღარ თვლის რამე უპსუსი ტესტის თ. ჟორდანიას მას შემდეგ, რაც იმან იყარა უწმწურად და მკითხველი საზოგადოების შეუკადრებელი სიტყვებით პასი, ისტორიული ფაქტების ურცხვად გადამსინჯებას, ცილისწამებას და მრავალი სიგრე. იმავად, ღარც გიორგი წერეთელი იყარებს სამავიეროს გადახდას. თუ რამეს დაწერს ამის შესახებ მხოლოდ იმისთვის, რომ მარტო გადამსინჯებელი ისტორიული ფაქტები დაადგინოს.

რედ.

ამ რახან-რუხის, ამ სიკრუთით სავსე ყვირილის, ამ საზოგადო ქვეყნის ერთი კვირის წინად იმავ საყვირლო ჰანჯე მოითო ძახლი თვით ახალმა ცისკარმა, ახალმა „ნათელმა ნათლისგან“, უბრწყინვალესმან მზემან, ახალმა მთიებმან, ჩვენმან დიდმან მეცნიერმან, ყოვრდანიად წოდებულმან. ამ დიდმან ისტორიკოსმან მოუთხბო ქვეყანას, ვითარცა ვარსკვლავმან აღმოსავლეთისამან, ზღაპარნი არაბეთის, ჯერ არ შობილის, მეცნიერებისანი, ღვაწლი თვისნი შესახებ მის მიერ ახლად აღმოჩენილი დიდი ხნის მის წინაზე აღმოჩენილთა და ცნობილთა ამბავთა და, თვისის დიადის ღვაწლის ჩვენების შემდეგ, მიუღს ქვეყანას წასახურებულთა: სამ-სამი მანათი მომეციო და მე თითოღ ცალ ნათლისა-ღარ დიდ წიგნს მოგართმევთო („ეტირა“ № 1892 წ. № 209).

ბაყაუზე იტყვიან: „თითონ არის მუშუტის ტოლა, გაჰყვირებს ბულის ტოლასო“, ასე მოუყვდით ჩვენს მეყვირებელსაც. მათი ხმა შეესმათ დიკენებსა, სოფლის მწერლებსა, ლაქიებსა და თვით ყოვრდანიას დამაქმებებს. მოსკდა ფული, სამ-სამი მანათი სამასდ იქცა. ჩვენი „ცისკარი“ უმეტესად ვაცისკრიანდა. იმას არ ნაღვლობდა, რომ საქართველოშიაც მოიპოვება შეგნებელი კაცები, რომ ამ შეგნებულ კაცებს მისი საქციელი საშარტხინოდ მიჩნიათ, რომ ეს შეგნებულად კაცები მის ნაშრომს არ ენდობიან და განმეტყვად უტყვირებენ. და არ ენდობიან მისთვის, რომ მას სკირს ახარებელი ზნე: აღმოჩენა უკვე აღმოჩენილის და განმარტულ საგნებისა ანუ მოღვაწე პირთა, რომ მის ნაშრომთა წყაროებს არ ეტყობა ჯეროვანი ვარჩევა, შესწავლა, შედარება, რომ წყაროების დასახელებასა და გამოქვეყნებას ერიდება, რომ არაკება და ზღაპრებს დომხალივით აუტყვს ისტორიაში და სხ.

ხოლო შეგნებულ კაცებს, ჩვენს ინტელიგენციას, ყოვრდანიას წარსულიც რომ დაეციწყნა, მიანდ ზემოზე მოყვანილი რეკლამები მის გულს ვერ მონადირებდენ, რადგან ჯერ ერთი, რომ იგინი თავის თავად საზოგადარნი არიან და მეორედც მისთვის, რომ თვით იმ რეკლამის ბოლომ დაეციქიანა ყოველი შეგნებული მკითხველი.

აი, თვით ეს ეჭვის აღმზერელი ბოლოა: „ამასთან საქიროდ ვრაცხთ გამოაცხადოთ, რომ ყოველ საისტორიო ცნობის შემდეგ იქვე იქნება მოხსენებელი თვით წყაროც, საიდამაც ცნობა ამოღებულთა (ესც ამერიკის აღმოჩენაა: რა საქირთა ამის თქმა? ვანა ისტორიული ამბები უწყაროდ იწერება?); ამით ყოველი ეჭვი აგვიცოლდება (ვანა ეინ გამხლებლად, ჯერ ხომ თქვენი ახალი ცისკარი არ დაბეჭდილიყო?), ცრუ-მეტყველებას პირი დე“

ყოფა (ეროდ განა ეინ მეტყველობდა, რომ წინაჴ თვე თავს მართლულობთ, როგორც დამნაშავე. და ჩვენგან მოღებულს ცნობებს უმაღლესის ღირსების (!) საბუთიანობა მიეცემა. გადაკეთება (დინსხენენთ!) და გადახინჯება (აგრეთენ!) საბუთებისა ჩვენ დიად რომ დიდ შეკრდებად მივაინია (ისევ ამერიკა!) და ჩვენგანთ ეს პრადი დაგუადვას* (იხ. № 209).

უკანასკნელი სტრიქონი განგებ გავხებთ. თუ ავტორი თავის ისტორიულ წყაროების შესახებ ლაპარაკობს მთონიაობით, ახა, რაღა ღირსებისა უნდა იყოს მისი ნაწერი და ან რა ფასი უნდა დასდოს მას შეგნებულმა კაცმა. ეს იყო მიზეზი, რომ ინტელიგენციამ ზურგი შეუქცია ჟორდანის მიერ გამართულ ხელის-მოწერას მის საექვო ცისკრის დასაბეჭდად და ისევე იყო მიზეზი, რომ „კვალმა“ იმ თავითვე იწინაწარმეტყველა „სხოლასტიკოსისაჲან რას უნდა მოველოდეთ კარგსაო, მისი ისტორია ბაკის ფლავი იქნებაო“.

ვიკადეთ კარგა ხანს და ბოლოს ჩვენი მზეცისკარიც გამოვიდა. რა ეიხილეთ? რა ენახეთ? სწორეთ ბაკის ფლავი, დომხალიეთ არეულ-დარეულ ამბები, ერთმანეთში შექცულმულ-აზვლილი ისტორიული ცნობები ჟორდანისა ჯიბისა და უბის წიგნების ცნობებითა, რაღაცა და ელასიკა ლურჯ თამახიან ქალღღმე ნაწერ არაებთან, ჟორდანისავე ტრამახთან, გოდებასთან, ქიწყკლთან, მუქარასთან, აურ-ზაურთან, ბავშურ ტიტინთან სხვა-და-სხვა საგანზე ამ დიდ წიგნში ჩვენ ევრავბოეთ არა თუ 12, ახლად, ჟორდანის მიერ აღმოჩენილი, ისტორიული წყარო, არამედ ევრც ერთი, დღემდის უცნობი, თვალსაჩინო ამბები, ანუ საუბუქლიანი მსჯელობა; და არა თუ ახალი, არამედ ზოგიერთი უკვე ცნობილიც არ იპოვება მასში, მაგ. შესანიშნავი გუჯარი ბაგრატიანი ოპიზართა და მიჯნაზორელთა შესახებ; პირიქით წიგნში აქაიქ შეხებდებთ იმისთანა ადგილებს, საცა ავტორი ამ თუ იმ საგნის შესახებ დღადგებს, რომ ეს ჩემი აღმოჩენილი, ანუ პირველად ჩემი აღწერილი არისო, თუმც ეს ჟორდანის მიერ „აღმოჩენილი“ და „პირველად აღწერილია“ დიდი ხანია უკვე აღმოჩენილ-აწერილი, მაგ. გელათის ტაძრის ბაგრატიის მიერ აგება, თამარის გულზე საკად ჯერის წარწერების გაღმოდება და სხ.

ამ საზოგადო მიმოხილვის შემდეგ ახლა კვინო მიმოხილვას შევეუდგეთ.

კამადონები ჟორდანის მთლათ აჭრელებულია თაყაიშვილითან გამობაასებითა და ქიწყკლთით. ქიწყკლ-ბაასის დედა ზრის ის არის, რომ ჟორდანამ ეველოაფერი იცის და სხეებმა, მეტადრე თაყაიშვილია, არაფერი არ იციან. ამ აურ-ზაურში

ავტორი ხმარობს მკეახე-მკეახე სიტყვებს, იმისთანა სიტყვებს, რომელსაც ავლობარში თუ გაიგონებს კაცი და მეცნიერულ გამოცემაში კი ყოვლადეე არა. მაგ: თაყაიშვილი „თავ-აშვებულოო (!) უსაბუთობით გვიმტკიცებს (გვ. 105)... აჭუჭუაინებს ჩვენე მატიანებს* (გვ. 106). „ნავაის შეტანა“ (იქვე), „თვლი ევრ აუხელია და ევრ მიხედარა“ (გვ. 103)... „თვით მზედრული ნაწერებიც კი მრავალ მძიმე შეცდომებით წაუკითხვას და დაუბეჭდია“ (გვ. 95) და სხვა.

ავტორი ამისთანა უკადრისად მისანენე სიტყვებისა კდვც აყვერის სხეებს: „ნუ თუ ნატამლოც კეთილშობილებისა და ზრდილობისა არ შევკრეინია მამა-პაპათაგან!“ (გვ. LIX).

ერთ ადგლას ჟორდანია იკვების: „ესრედ შებლაღულის სტატუსის აღდგენას ჯაფაც და ცრადაც მოუენდებოდა, მაგრამ მისი აღდგენა ბ.ნ.ე. თაყაიშვილს კი არ ეკუთენის, არამედ მე (აი, ოფაფი თუ გინდათ, ეს არის!). შეურყვევლი საბუთი ამისა იხილეთ თვით შატბერდის კრებულის არშაზე“ (გვ. 116).

ფილის-ძევე ეტრადის არშაზე ჯღაბნა შევერის რომელსამე ბარბაროზს და ველურს და არა ამ ეტრადის ფსის მტოდნე კაცს, და ამას გარდა, თუ მანკა და მინც საჭირო იყო და ეისგანვე ნება ჰქონდა დართული ევღაბნა ეტრადის არშეიბა, რატომ არ იზრუნა, რომ ეს წარწერები ფაქიზად გამოეყენა. ჯანაშვილმაც შენიშნა „აღვადგინეში“ და ჩვენც დავრწმუნდით, რომ არშის წარწერები ჟორდანის ნახევრად ალუსრულებია, მაგ. თეიცი. და ესეც ჩვენს მეცნიერს საცეხებურად მიანიჩა და არა სამარცხინოვ.

ესლა ენახოთ ისიც, თუ თაყაიშვილის გამამტყუნებელი ჟორდანია თვითონ როგორ კითხულობს ძველ ნაწერს შატბერდის კრებულისას.

მე-100 და შექდეგ გვ. თავის წიგნისა ქოხდაჩანს დაუბეჭდა.

ცნობა	დღენში*) იგუე
მიუწოდომელსა	ახე სქეაბა:
სრულად	ცნობად
შრომა ჩემი თუმცაღა	მიუწოდომელსა.
არა რა	კულად
ედი(ლო)მის (ედიოთმის?)	ამსგამო
ხილვება	არღარა
ნიშვებითა	ედილამის
გვითა	ხილვად
მეათა	ნიშვებითა
	ევათა
	მთლამი.

95 გვერდზე: „ლუთით შემოსილი“, უნდა კი იყოს ღმერთ შემოსილი; „ლუთიე დაბადებულისა

ბაგრატი მეფისა“, უნდა იყოს ლუთიე დიდებულისა და სხ.

ყველაზე საციელი კი ჟორდანიაა წიგნში ის აღგილია (გვ. 140), საცა მას დაუბეჭდია წვიმოეთის ტაძრის წარწერები და ამბობს: წარწერები განსვენებულ ბროსეს-მიერ ჩატანილია მის voyage-შიო. საცინელი აქ ის არის, რომ 1890 წელს ჟორდანია გაზეთში აცხადებდა: „სურამის ახლოს მგზავრობის დროს აღმოვაჩინე, არ არტერით არქეოლოგთაგან არ აღწერილი წვიმოეთის ეკლესიაო“. „კავკაზმა“ შენიშნა, რომ წვიმოეთის ეკლესია კიდევ აღწერილია და მისი წარწერებიც გადმოღებული და დაბეჭდილი ბროსეს-შიო. ჟორდანია ამის შესახებ დასწერა „ნოვოე ობ.ზრენიეში“: „Никто изъ извѣстныхъ археологовъ Тивимотскую церковь не видалъ“, „труды Броссе по археологии Грузіи поверхностны, односторонни, не полны, и въ нѣкоторыхъ своихъ частяхъ лишены научнаго интереса“. ეს იყო 1890 წ. და დღეს კი, სულ სამის წლის შემდეგ, იმავე ბროსეს შრომა იმოდენად გაძვირუდასებულა, რომ იქიდან ჟორდანია იღებს არა თუ მარტო წვიმოეთის წარწერებს, ხშირად იმავე **поверхностный** ბროსეს გამოკლევით-გამომიბეჭდულთ აქებენ ჟორდანია წიგნს, იმ ჟორდანიაში, რომელსაც დაიკრებისამებრ ჩვენთვის უნდა მოეცა მთიები, მზე, ცისკარი, ლამპარი. მაგრამ ეს ცოტაა კიდევ. ღიმილის მოსაგერევილია ისიც, რომ ჟორდანია თავის შრომას უძღენის იმავე **поверхностный** ბროსეს. გულუბრყვილო

ისტორიკოსს (!) ალბად, ჰკონია, რომ ამ ძველით ემატებ დიდებას იმ აკადემიკოსს, რომელიც უამისოდაც განდიდებულია.

დასასრული. მშურად ეურჩევი ჟორდანია თავი დაანებოს თავის ქება-ტრაპასს, ეინადგან თავის ქება თავის ტეხად დასახულია, და აგრეთვე ზურგი შეუქციოს სულმდაბალ და მზაკვარ მაქებართ: ეინადგან მათი ქება ხშირად გამოაწვეულია ხოლმე წუთიერ სიამოვნებით: მაგ გვათ თითო ნაქერი დოში და თითო ფილა კახური ეყოფისთ, რომ ეარსკვლავები, მზე მთვარე და სხვა მნათობნი ძირს ჩამოსხან და მათ აღვილას მქედ შეასკუპონ. დიად, თავის ქე ბიკტრად არა ღირს; ყვირილი, ძახილი და ქუეტიონი კაცისა შესახებ თავის საქმისა სამარცხენიაო, საზიზარია: თვით ამ გვარი კაცი ის, თქვენ-მიერ ქებული, ოფოფია, რომელიც ოჯოჯასა და ოლოლოს გაიძახის, არა სიტყვითა, არმედ საქმითა შენითა გინობენ შენ. ჩვენში სამკალ მრავალ არს, ხოლო მუშაკნი ყოვლად არა. ამიტომაც ჩვენებურმა მუშაკმა ცოტაც რომ მოითონხნოს, ისიც დიდ საკონხელად მიანიხათ და თვით მოთხნელიც დიდ კაცად, დიდ მუშაკად. მაშ რაღა საქირია ბაქიობა, ტრაპაზი, ზეიადობა, ციადობა. ეამობ, ცოტასთვისაც მთელი ერი გვადიდებს, გვაკობს, პატებს გეცემს. რად გავიწყდებათ ეს ქეშპირტება, რომ ეინც აღი მალღებს თავსა თვისსა, იგი დამდაბლების, ხოლო ეინც დამდაბლებს, იგი ამალღების.

6.

მგზავრის ღიღინი.

2 იგონებ, ჩემო ქვეყანაე,
უცხოეთს მიმავლია,
სული წუხს, გული ქეითინებს,

აღრ მიშრება თვლია:
ეაჰე, თუ ველარ ეიზილო
სამშობლოს მთა და ბარია
და ის ადგილი, სად ღვდამ
ნანა მიმღერა მტკარია.
იღინე ერემლო მდღღარეც,
ნუ შეწყვეტ მღინარებასა,
იტირე, გულო ტარჯულო,

ნუ მოშლი მღვლეარებასა,
სამოთხის სასუფეველზეც
არ ეცელი იმ ნეტარებასა,
როცა შენ ტირი მწუხარედ
სამშობლოს დაშორებასა.
იქ მომკალ, ზენაე, სად მოძმით
ატირებთ ბედის-წერანი,
სადაც გაისმის მტარეალთა
ბარბაროსული მღერანი,
რომ ერთ დროს საფლავს მესმოდეს
ნამტირალ ძმათა ღებნანი:
მტერი ეძლიეთო!—დამახდენ,
ასი ათასთა ენანი!..

დ. მანანელი

სეგრამატოკო კვლევა.

წაზოგადო ბუნებრივი კანონი ქართული ზმნის რთული ფორმის აგებულობისა მიართლო-გის მხრივ არის შემდეგი: 1) იწყება რიგი პრეფიქსებისა, რომლის ბოლოს უსათუოდ თავსდება პირის მარცხენდელი ელემენტი+ერთ-ერთი ზმნის აუცილებელი პრეფიქსთაგანი (ჰ, ა, ი), უღვილილებაში ორსა და სამში ტრიალის გამომსახველი; 2) პრეფიქსთა რიგს მოსდევს ხოლმე ტემა სახელ-ზმნისა, ანუ ბრძანებითი დახრისა; 3) ტემას შემდეგ ლავდება ერთი, ანუ მთელი რაგი სუფიქსებისა. მაგალითად ავხსნათ. ავილოთ ზმნა—კეთება. სახელ-ზმნის ტემა იქნება: კეთებ, აქვდა—ე-აკეთებ (ესე იგი: პირის მარცხენდელი პრეფიქსი (ე)+ერთ-ერთი ზმნის აუცილებელი პრეფიქსთაგანი (ა)+სახელ-ზმნის ტემა (კეთებ). მოუმატოთ ფორმას „აკეთებ“ რამდენჯერმე სხვა-და-სხვა პრეფიქსი, ანუ თავსართი და გექქმნება ჯერ მაგალითად—გა-ე-აკეთებ, შემდეგ—გა-და-ე-აკეთებ, შემდეგ—გა-დ(ა)-მო-ე-აკეთებ. ეთხოვთ მკითხველებს კარგად დაუკვირდნენ, თუ რა ადგილი უკერავს ხოლმე საზოგადოდ ზმნათა რთულ ფორმებში პირის მარცხენდელ პრეფიქსს.

როგორ, რა წესითა და რიგით ლავდება რთულ ფორმებში პრეფიქსებო, ამასაც თავისა კანონი აქვს, მაგალითად —გა-დ(ა)-მო*ს გარდა სხვა რიგად ვერ დალაგებოდნენ პრეფიქსები: გა, და, მო, რადანაც ვერ ვიტყვით ვერც დამოგაეკეთებ, ვერც გამოდაეკეთებ, ვერც მოგადეეკეთებ, ვერც მოდაგაეკეთებ, ვერც დაგამოგაეკეთებ.

ასევე გასინჯეთ და შეადგინეთ ჩამწკრივება სხვა პრეფიქსებისა: აღ+მო, წარ+მო, ჩა+მო, გა+მო და სხვები.. ახლა გადავიდეთ სუფიქსებზე. —გადმო-ეკეთებ)-ი-ნებ, შემდეგ —გადმოეკეთებ)-ი-ნებ-დე, შემდეგ—გადმოეკეთებ)-ი-ნებ-დე—მ(ანი)ცა, შემდეგ—გადმოეკეთებ)-ი-ნებ-დე-მცა-ო... აქაც სუფიქსებში უწიი და რიგი დალაგების მოსდევს აგრეთვე თავის კანონს, რომლის .ასნა-გარჩევას აქ ვერ შევეუდგებით, რადგანაც ძალიან შორს წააციკვანს და იძულებულს გაგებდის გზა აუხევიით ამ ჩვენის წერილის პირდაპირს სავანს.

ასე და ამ გვარად, როგორცა ხედვს მკითხველი, პირის მარცხენდელი პრეფიქსი ზმნის რთულ ფორმებში ყოველთვის არის ხოლმე მოთავსებული უბრალო პრეფიქსების რიგსა და ერთ ერთ ზმნების აუცილებელ პრეფიქსთაგანს შუა. ეს დაურღვეველი კანონია.

ავილოთ ახლა ვასარჩევად სხვა რთული ზმნები პრეფიქსით „აღ“: აღდგენა, აღელენა, აღწერა და სხვა..

ბრძანებითი დახრის ფორმები იქმნება: აღ-ა-დგინ-ე. აღ-ი-დგინ-ე
 მომავალი: აღ-ე-ა-დგენ, აღ-ე-ი-დგენ
 აღ-ა-ელინ-ე, აღ-ი-ელინ-ე,
 აღ-ე-ელენ, აღ-ე-ი-ელენ
 აღ-ა-წერ-ე, აღ-ი-წერ-ე
 აღ-ე-ა-წერ, აღ-ე-ი-წერ...

მას რატომ არ ეამზობთ: ვაღაღინე, ვალიღინე, ვაღაღინე, ვალიღინე, ვაღაწერე, ვალიწერე და სხვა ამ გვარად..

ჩვენ ევკობთ, რომ ბ-ნ სიმონიძეს მთელს აღმოსავლეთ საქართველოში გაეცონოს: გალიარებ, მალიარებ და სხვა ამ გვარა, მაგრამ ჩვენც დავეთანხმებით, რომ შესაძლებელია—ასეც იხმარებოდეს სადმე, თუმცა, რასაკვირველია, ეს საბუთად მისაღები კი არ იქმნება მათ დაკანონებისათვის.

უეჭველია, ბ-ნ სიმონიძეს გაუგია იმერთში ასეთი გამოთქმა: „ნახე“ „ნახე“ს მაგიერად, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, მის დაკანონებასაც არ შეუდგება იგი.

ყოველსავე ამას შემდეგ რად უნდა სწყენოდა ბ-ნ სიმონიძეს, რადესაც ჩვენმა ზოეტმა; ფორმა გალიარებ სცნა უკანონოდ და ამის ნაცკლად მიუთითა საღმრთო წერილას კანონიერს ფორმებზე: აღგარებ და სხვა. ეს ერთად-ერთი ჩინებული საბუთი აკაცისა აბუჩად აიგდო ჩვენმა პედაგოგმა და ბრძანებს: „ჩვენ კი ვიცით ეს საბუთი. (აქ ალბათ კორრექტურული შეცითობა იქნება, უნდა იყოს: ან „ჩვენც ვიცით ეს საბუთი“, ან „ჩვენ კი არ ვიცით ეს საბუთი“, ან „ჩვენ, კი, ვიცით ეს საბუთი“) მაგრამ საღვთო წერილის ენაზე მეთვე საუკუნიდან აღარა დგას საქართველო და ახლა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს როგორ დავუბრუნდეთ. ხომ მთლად დამარხვა მოგეინდება ახლანდელის ცოცხლის ენისა აღტერატურასა და საუბარში“.

აბა, ეს რა სათქმელი იყო? ვინ რა მოგახსენათ მერე ენის შესახებ? აკაციმ არ მოიწონა თქვენ მიერ ნახმარი ზმნის ფორმა და ამის ნაცკლად მოგაწოდათ საღმრთო წერილიდან ამოღებული კანონიერი ფორმა. მაშასადამე აკაცი ფორმებზე გელაპარაკებოდით, ანუ გრამატიკაზე და არა საზოგადოდ ენის შესახებ.

რომელიმე ენა შეიძლება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში გაირჩენას სხვა-და-სხვა ენებისად შეტანილ სიტყვებით, აგრეთვე შეიძლება მან შეითვისოს უცხო ენების რომელიმე შემადგენელი ელემენტები (образовательные элементы), ასევე შესაძლებ

ბელია, მის საკუთარმა შემადგენელ ელემენტებმა იცეაღონ საზე ან უბრალო შემოკლებით, ან ფონტიკური გადაგვარებით, ხოლო ამ ენაში ფორმების ანატომიური წეს-წყობილება, ანუ, საზოგადოდ რომ ეთქვას, ენის გრამატიკა, უხსოვარ დროიდან დაყოლილი და დაკანონებული ამ ენასთან, შეუშლელი და საუკუნო იქმნება ყველთვის, ვიდრე რაიმე უღვთო ძალა არ წაღკავებს და არ შემუსრავს იმ ენის, რომელიც ლაპარაკობს ამ ენაზე. აი, ამაზე გვეუბნება ასე შენიერად ჩენანი: „სინდვიდულაჲ ენისა ჰპოვეთ მის გრამატიკაშია“. ახლა რა თუ უნდა არა ჰქონდა აკაცის აღვარებით სინამდვილე საღვთო წერილის ფორმებისა, ამ ფორმებისა, საცა შემადგენელი ელემენტები ლაგდება ისე, როგორც ამას მოითხოვს ენის ბუნება-ხასიათი?

ამასთან გაესინჯათ, რა საბუთითა ბრძანებს ბ-ნი სიმონიმე შემდეგს: „მომეც ჩვენ დღეს, ნუ შეგეყუყუნებ ჩვენ განსაცდელსა... ახლა კი ვამბობთ და ესწროთ: მოგვეც ჩვენ დღეს, ნუ შეგეყუყუნებ ჩვენ განსაცდელსა. ნუ თუ უნანსკენოს ცოცხალს ფორმაზე ხელი უნდა ავიღოთ მხოლოდ იმის გამო, რომ ძველად ასე არ იხმარებოდა? განა ეს ათი საუკუნით უკან გადახტომა არ იქნებოდა?.. ბ-ნ სიმონიმეს ჰგონია, რომ მრავლობითი პირის მაჩვენებელი ელემენტი „გვ“ ამ ახლო-მანლო საუკუნოების დროს შეითხზა და სახარების მთარგმნელებს კი არა სკოდნითა იგი. იყავით დარწმუნებულთა, რომ მთარგმნელები ჩვენზე უკარად იცნობდენ ამ ელემენტსაც, მაგრამ არ უხმარიათ ერთ იმის გულისათვის, რომ სახარების ბერძნულს ტექსტში გადათარგმნელი არ დარჩენილათ იორი სიტყვა: ἦμα და ἦμαჲ. ბერების ერთად-ერთი სურვილი იყო, სიტყვა-სიტყვით, უკლებლივ გადმოეღოთ ბერძნული ტექსტი წმინდა სახარებისა ქართულად, ამიტომ ბერძნული: *ბჲ ἦμα ἡμαρον — ხაჲ ἦμα ἡμαρον* და *ხაჲ ἦμα ἡμαρον* და სხვები თარგმნეს ქართულად ისე, როგორც თქვენ მოეყავთ:

ბჲ ἦμα — მომეც ჩვენ.

ხაჲ ἦμα ἡμαρον — და ნუ შემეიყენებ ჩვენ...

აქ რომ ეხმარათ ზმნის ფორმა ელემენტით „გვ“, მაშინ სიტყვები „ჩენ“ (*ἦμα, ἦμαჲ*) განმეორებით გამოვიდოდა და ამისთვის უნდა გამოეტოვებინათ იგი.

იმ დროის ბერები ისეთი მოწიწებით ეყარობოდნენ წმინდა სახარების დედანს, რომ უბრალო, ჩვენი ენისთვის უმნიშვნელო, ნაწევარებასაც კი თათმნიდენ, რასაც ბ-ნი ხანაწმელიც ფრიად საბუირანად შენიშნავს. მაშ როგორ მოინდომებდენ, ვა-

მოეტოვებინათ თითო სიტყვა ყოველ ამ გვარ წინადლებიდან? მით უმეტეს, რომ ყველა ამ გვარი გამოტოვებული სიტყვები ერთად შეადგენდენ რამდენსავე ფურცელს და ეს ხომ მომაკვდინებელ ცოცხალ შეიქმნებოდა მათთვის სიმწველზე კი არ მოგახსენათ, საბუთი არ წამოიყენებიათ, თუ რად იქმნება საკამათო ფორმები უფრო ძნელი სათქმელი თქვენ მიერ წამოყენებულ ახალ ფორმებზე, ხოლო ორზარებენაზე გეტყვით შემდეგს: ყოველ ენას აქვს თავის ომოფონები (омофоны), ესე იგი სიტყვები, რომელნიც ბგერათა გვარობით რაოდენობით და დალაგებით სრულიად ერთგვარნი არიან ხოლმე, თუმცა მნიშვნელობით სხვა-და-სხვანი. მაკალითად ქართულში: სმა (пить), სმა (мазать), სმა (сажать), მოველი (пришелъ), მოველი (ожидаю).

ყოველი ენა ამ ნაკლს სხვა-და-სხვა საშუალებით იცალებს ხოლმე თავადან. რუსულში შესვენებითი ნიშნით არჩევენ ერთი-ერთმანეთისაგან: *замокъ — замокъ, берегъ — бѣрегъ* და სხვა...

ქართულს ენას კი ამ შემთხვევაში რამდენიმე საშუალება აქვს. ხან რომელსავე პრეფიქსს ერთგვარი აზრის მქონე ომოფონს სრულიად უმოკლებს: ადგომა, ავიარე, ადგა, წამატება, წახული... მაშინ, როდესაც მეორე აზრის მქონე ომოფონებში იხმარება შედარებით უფრო სრული პრეფიქსები: ადგომა, ალე-არე, ალგა, წარმატება, წარსული და სხვა... აგრეთვე ხანდახან ქართული ენა ამ შემთხვევაში ძირითადად თანახმოვანს ფონტიკურად სცელის ერთს ომოფონში: მოველი (я ожидаю), მოველი (ნაცულად „მოველი“სა — я пришел). ამ ნაჩვენებ ორ საშუალებას გარდა ქართულს კიდევ აქვს რამდენიმე აზრის გასარჩევად ომოფონებში.

ბასი ბ-ნ სიმონიმისა რაღაც სტილის ფილოსოფიან აგრეთვე ახიერებულა. ქართულ ყაიდაზე რომ სახლს ვაშენებდეთ, განა იტალიური ყაიდის სეფტები უნდა შევეუღვათ თოღებსა? მაშინ ხომ რაღაც ბარბაროსული კომპოზიტი გამოვა... ქართულს ზმნაში პირის მაჩვენებელ ელემენტს ყოველთვის თავისი საკუთარი ადგილი აქვს ელემენტების ავლომერაკიაში. ბ-ნი სიმონიმე კი ბრძანებს: არა, უადგილო ადგილას არისო, სტილის ფილოსოფიან მოითხოვს, რომ წინ გადმოვასკუპოთო!?. „ამას გარდა საგრამატიკო ანალიზი მოსწავლელთათვის ძლიერ აღვიღებდა, როცა პირის მაჩვენებელი ასო (?) თავში ზის და არ არის მოკცული შუაში, ასე რომ პედაგოგიური მოსაზრებაც ჩვენ მიერ ნახმარ ფორმას ამართლებს.“ — ყოველივე, რაც ბუნებით არ არის ზედ-დაყოლილი და დაკანონებული ენასთან, მოგონილია და მამასადამე ამ მოგონილს რა უნდა ჰქონ-

ნდეს საერთო ან კანონიერ საკრამმატიკო ანალიზთან და ან პედაგოგისთან. ბ-ნი სიმონიძე რომ საკრამმატიკო ანალიზს მისდევდეს, ამასაც არ იტყობა.

„რადგანაც მარტივი ზმნები უმრავლესობას შეადგენს ზმნათა შორის, ამიტომ წინ ჯდომა პირის მაჩვენებლისა უნდა ჩაითვალოს საზოგადო კანონად ქართულის ზმნებისა“— აბა, რომ მუხას ვაშლი აქ ასხია!.. ერთი გვიბრძანოს, საზოგადოდ რომელ მარტივ ზმნას დაუღვლილებს ბ-ნი სიმონიძე, რომ სრული სახის მიმცემ ელემენტს, პრეფიქსად სახმარს, არ წააწყდეს იგი.

მარტივი ზმნები:

წერა—ვაწერ—ვაწერე—ვაწერო, მე—წეროს და—ვაწერ—და—წერე—და—წერო—და—მე—წეროს

კეთება—ვაკეთებ—ვაკეთე—ვაკეთო—მე—კეთოს ...

გა—ვაკეთებ—გა—ვაკეთე—გა—ვაკეთო—გა—მეკეთოს...

გინება—ვაგინებ—ვაგინე—ვაგინო—მე—გინოს...

შე—ვაგინებ—შე—ვაგინე—შე—ვაგინო—შე—მეგინოს...

მამე ყველა ქართული ზმნა უკან დახვევის გზას დადგომა ბ-ნი სიმონიძის აზრით და რაღა გვეშველება!.. არიქა, ქართველებო, თუ არ გინდათ, რომ ამ გადაბირების გზიდან პირდაპირ „სერენკი კოზლიკზე“ გადახვიდეთ, დაუჯერეთ თქვენს პედაგოგს, გადმოასუბეთ ხოლმე პირის მაჩვენებელი ელემენტები თავში და იხმარეთ ასე: ვადაწერ, ვადაწერე, ვადაწერო, ვაშეგინებ, ვაკაკეთებ და სხვები... ხუმრობა კი არ არის, ადამიანებო, პედაგოგია, სტილის ფილოსოფია, გრამმატიკული ანალიზი და ყველა ჯანდაბა ამას მოითხოვს, დაჯერებით გვეუბნება ბ-ნი სიმონიძე.

მკითხველებისათვის მიგვინდვია, იმათ განსაჯონ, აკაც, თუ ბ-ნი სიმონიძე „სპირის ხარს კუდას და შუბლზე აბამს“.

აეიღოთ ახლა ასეთი სახელ-ზმნები: ავეგულისება, ქარწყლება, წინასწარმეტყველება, (ვა)დიდაცება, (ვა)აუადმყოფება)...

სახელ-ზმნისა და ბრძანებითი დახრის ტემები ამ გვარ ზმნებისაგან იქმნებიან რთულნი:

ავეგულისებ—ავეგულის ქარწყლებ—ქარწყლ წინასწარმეტყველებ—წინასწარმეტყველ დიდაცებ—დიდაც აუადმყოფებ—აუადმყოფ...

უღვლილებმაში ქართული ენა ამგვარს რთულს ტემებს საზოგადოდ ისე ექცევა, როგორც მარტივს და ამისათვის:

ვა—ავეგულისებ—ვა—ავეგულისე ვა—ქარწყლებ—ვა—ქარწყლე ვა—წინასწარმეტყველებ—ვა—წინასწარმეტყველ ლ სხე... აქედან თავსართები:

გა—ვა—ავეგულისებ—გა—ვა—ავეგულისე გა—ვა—ქარწყლებ—გა—ვა—ქარწყლე გა—ვა—წინასწარმეტყველებ—გა—ვა—წინასწარმეტყველე... etc... etc...

ამგვარ ზმნებში მოიპოვება რამდენიმე ზმნა, რომელნიც სრული სახის მიმცემ თავსართების ნაცვლად იცვლიან ერთ-ერთს ზმნის აუცილებელ პრეფიქსთაგანსა და სუფიქსის ხმოვანს. აი, ეს ის ზმნები გახლავთ, რომელნიც ჩამოუთვლია ბ-ნი სიმონიძის და ჰგონია რამე დამატიცა ამით.

აწმყო: მომავალი:

გ—მეურმეობა—გო—მეურმეებ გ—პურაძეობა—გო—პურაძეობებ გ—საუბრობა—გო—საუბრობებ გ—გუთნისდედაბა—გო—გუთნისდედაბებ გ—მეთაურობა—გო—მეთაურობებ გ—სულდგმულობა—გო—სულდგმულობებ გ—მეწიქილობა—გო—მეწიქილობებ გ—დიღულობა—გო—დიღულობებ...

ბ-ნი სიმონიძე დინახავს, თუ რა ძვირად დასჯდომიათ ამ გვარ უკანონო ზმნებს, რომელნიც ამ შემთხვევაში თავსართს არ იკარებენ, სუფიქსის ხმოვანის შეცვლა, აგრეთვე სხვა-დასხვა აუცილებელ პრეპოსთაგანის ხმარება აწმყოსა და მომავალში (მყობაში) საზოგადო მოვლენა როდია ქართულ ზმნებში, რომ ეს ჩამოთვლილი ბ-ნი სიმონიძის მიერ ზმნები კანონიერადაა ჩაითვალოს. იქნება ამ გვარი ანომალია იყოს კიდევ ნიშანი ივერიელ ენათა მაღალ ფორმატივში გადასვლის ლტოლვილებისა, მაგრამ ეს კანტი-კუნტი ნიშნები ისევე ანომალიად დარჩება და თავს არ მოეხვევა ქართულს ენას, როგორც საზოგადო მოვლენა.

კ. დოდაშვილი

(შედეგა იქნება)

ბ-ნ ი. ჭყონიას, კორრექტორის ქილილა და დამანისისა.

ქვეს შენიშვნაზე, რომ ძველი ქართული თხზულებანი, ახალ ღრეში დასტამბულნი, ენის სამავალითოდ არ გამოადგება, რადგან იქ ხელნაწერის ენა კიარა, უფრო კორრექტორის ენაა-თქვა, ბ-ნი ი. ჭყონია გვეითხება, აბა, მიხედნით, ქილილა და დამანაში, სად არის თორმეტი კორრექტორის ენაზე შეცვლილი?

ვასრულებთ მის თხოვნას. თუნდ დავიწყოთ თავიდან, გადავშლოთ პირველი გვერდი:

დასტამბულში: **„ეგრეთა კოკობთა მკრე-ბართა“** **„ეგრეთა კოკობთა მკრე-ფართა“**

იქვე: **„წიგნეთა შინა მთქმე-ლისა“** **„წიგნთა შინა მთქმე-ლისა“**

მე-14 გვერდი. ქვევით სათაურში: **„შეიკაზმეს“** **„შეიკაზმის-“**
იქვე ცოტა კიდევ ქვემოთ უნდა იყოს: **„არაკებთა“** **„არაკთა“**

მე-15 გვ. ლექსში:

„ბაჰში“ „ბუჰში“
„შიდეგინ“ „შიდეგინ“
მე-16 გვ. შუაგულ ლექსის წი: „რჩევით უნდა ჰმან“ „რჩევით უნდა ჰნან“
იქვე ლექსში: „გაუსინჯათა საქმეთა“ „გაუსინჯათა საქმეთ ბოლოდ შექქნას ზღვე.“ „ლოდ შექქნას ზღვევანი“
ვანი“

ეგონებ, ესეც კმარა, თეარა, თუ ჩაეყვით, ასი თაბახიც არ გვეყოფა.

ევენი წერლობანიო, იტყვიო? — არა, ბატონო, აგაუსინჯათა“-ს, აგაუსინჯათა“ სჯობია. ასეც ხმა-რობენ იმერეთში.

„შევექმანს“ სხვა ზმნა არის და „შევექნას“ სხვა. მაგალითად: შექქნას ზღვევა ნიშნავს გაანას ზღვევა და შექნა ზღვევა ნიშნავს იწყო, ატყის ზღვევა შექნა ყერილი—დაიწყო, ატყხა ყერილი და სხე. ყოველ შემთხვევაში ძველი ხელნაწერები თუ დაიბეჭდება, ხელ-უხლებლად უნდა დაიბეჭდოს ნაზღვილი ღვეისაგან და არა კორრექტორების გრამატიკით, თუმცა ესეც უნდა ეთქვოდ, რომ ი. ჭყონია ხსენებზე უფრო თავდაჭერილი არის კორექტორობაში.

„თავცანცარას ბრალია“

(ოსის ცხოვრებიდან)

მაზნაფლის კეირა დღე იყო. პატარა ბეკის წევრზე, ნანგრეე ქეითყირის ვალაენას შუა, მუხის ფიცრებით ნაშენებ ეკლესიასთან, მწვანე ელზე ჩამომხსნარაიყვენ ათამღ ოსები და ჯოდჯიყებდენ. ვინ წარსულ ზამთრის სიცევეს უჩიოდა ვინ ახლად დამდგარ მაზნაფლის უამინდობას—გვალევის. აქ ოსებმა იციან ყოველ მაზნაფლით ყვეიღების დღეობის გარდახდა და უმეტესად მისთვის იყვენ თემოყრილი ეკლესიასთან. თუ არ ხალხისაგან გამოგონილ დღეობისთვის, ოსს ძნელად ვინმე ნახავს ეკლესიაში მისულს სალოცავად.

„ყვეიღების“ უქმე, ეტყობა დიდათ რწამთ ოსებს, რადგან ამ სამ კამოს გარდა, რომლებიც ზედმე ეკლესიასთან მოსახლობენ და, რომლებსაც სახლის პატრონები ვალაენაში ბაასობდენ—მიდიოდა მლოცავი გლმა-გამოღმა ხეობიდანაც. მლოცავთ რიგობით მოჰყავდათ ზოგს გვირანი ჩასუქებული ქედლია, თავებრ შეღებილი ინით და პატარა ზარით ყელზე ჩამოყიდებული, —ზოგს თნა, ზოგს ბატკანი და ზოგს კი ხაჰაურები სასმელებით; ყოველი მო-

მსვლელი აძლევდა სალაშს იქვე ჩამომხსნარს გლეხებს; თან მოტანილ შესაწირავებს აწყობდა ეკლესიის გვერდით მდგომარე თელის ძირში; იქვე —თელათან რჯდა ბანდონზე 1) მოხუცი ოსი, რომელიც შესაწირავის მოტანის დროს წამოადგებოდა ფეხზე და თელას ქვეშ დაწყობილ შესაწირავებს ალაგებდა გრძილად ქვეშე გადებულ ფიცარზე, ანუ როგორც თეთი ეყახიან —კარხინაზე 2). მომსვლელნი მლოცვენი რა დაწყობდენ შესაწირავებს თელას ქვეშ —ურთოდებოდენ იქვე ჩამომხსნართ მობასეთ. მოხუცი ოსი, რომელზედც ლაპარაკი ჩამოვადე, იმ სოფლის დეკანოზი იყო; ბევრი კარკის მნახველი, ბევრი ვი-და-ქუსის გამკრე, დიდგამოვილი ცხოვრებაში; —თავის სოფელში კუთხე ვანთქული, რაც შეეფერება უსწავლელ კაცს—კარგი მოლაპარაკე და ავტორიტეტდამსახურებელი, არამც თუ თავის სოფელში—არამედ უცხო ოსების სოფლებშიაც. დეკანოზად ამოჩნეულია თერამეტი წულიაღი, რის გამო მთელი ოსობა დიდ პატივისცემით ეყრბობა.

შუადღისას შეწყდა მლოცავთა მიმოსვლა და გაისმა კიდევ ზარის წკარუნი, რომელიც ხელთ ეპურა ფეხზე წამომდგარ დეკანოზს და პატარა

1) ხის უბრლო სკანკელია.
2) ხის მკვიდა.

ბრტყელი ქვით აწკარუნებდა. ზარის ხმაზე ოსები ფესზე წამოცვიდნენ. სახეზე რაღაც რწმენა და მორჩილება ემჩნეოდა ყველას; სანამ ზარის ხმა შეწყდებოდა, ხალხი, ქედმახდილი და ხელაპყრობილი ზეცისკენ, ერთხმად გუგუნით გაძახობდა: „ხეტაუ 1) ბაყასენ—ხეტაუ ბაყასენ“ო. ცოტა ხანს შემდეგ იწყეს სალაღების ზოცვა; —აქაი ავღა სისხლის ზოცვა, ისმალა პირუტყვით ყელში ხრტიალი, ზღვილი კენესა,...

ჯერ პურის ჭამა არ დაწყებულყო, როდესაც მოვიდა უკანასკნელი დაგვიანებული მლოცავი. მან მოიტანა ხონჩით რამდენიმე ხმიანი, ცივად მოხარშული დედლები, ხაბოსიგინა, ლული და არაყი. ამ უკანასკნელის მოსვლამ მიიტკია ყურადღება ყველა იქ მოყოლის, დევანოზმა სალაშზე ოდნავ დაუხარა თავი, ჩამოართვა ძღვენი და კარხინიანზე დაწყო. მოსული ახალგაზდა იყო, შუა ტანად, ჭრელი თვალებით, რომლებიც ხატის შერისხულსავე აცაბაცა დაუბრუნდნენ. მისი სახე ერთობ—რაღაც გამოუცნობელ საიდუმლოს მეტყველებდა. ქართულად იყო ჩაცმული, თუმცა ქართული „ინჩი“ არ იცოდა; არეი იცოდა მისი საზღ-კარი, არც მისი შეძლებდა; მას იცნობდნენ მოწაწვალეთ, თუმცა გარეგნობით მოწაწვალის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. იგი არ აკლდებოდა არც დღეობებს, არც ქორწილებს და არც უბრალო პატარა კრებებს.

— დასწყევლოს ღმერთმა! — ჩურჩულით თქვა ერთმა: — აჲ, ე კაცი ვერა ღონისძიებით ვერ მოვიშორეთ!

— ეგ, ჩემო ძმაო, აქაც ავეიტე ს რასმე, — დაუმატა მეორემ.

— ახლა, — ხმა მაღლივ მიმართა მესამემ მოსულს: — მაგ სძიანდებით უნდა მოინანიო შენი ცოდვები?

— ეგ შენი საქმე არ არის, მე ვიცი და ხატმა. ვისიც შესაწირავს ხატი მიიღებს — ბოლო გამოაჩნეს; შენ, რა ჩემი უფროსი ხარ, თუ ბატონი? მაგისთანა ხუმრობა, იცოდე ჩემო ქიცილა, იაჲვად არ დაგიჰდება.

— ასე არ მიყო, ჩემო როსებ, ყურებზე ხახვი არ დამპკრა. — დაცინებით მიუგო ქიცილამ.

— ამა, თუ არა და მამ მე ბიჭ ალარ ვიქნები — შეპყვირა გაბრაზებული როსებამ და ეგ იყო უნდა სცემოდა, მაგრამ ხალხი აქეთ-იქიდან წამოიშველა და შეაჩერეს.

ამ დროს გაისმა მრისხანე ხმა დევანოზისა: — (ი ქანუთ 2), ცი?!

თქვენ მლოცავნი ხართ? თქვენ ხალხნი ხართ, — ჩუმაღ!..

ხალხი გაინაბა. დევანოზის ჩვენებით, ხალხი შემოაუსხდა კარხინას. სუფრის თავად დევანოზი დაჯდა. გარს შემოაუსხდნენ მოხუცნი, შერე შუაყავნი და ბოლოს ახალგაზნანი. დევანოზმა დაამწყვლობნა სუფრა და, — გვირგვინ პურის ჭამა, შუა პურის ჭამის დროს, როდესაც ხალხი შეზარხოშდა — დევანოზი წამოიჯდა ფეხზე. ხელში ლუღით საცხე ყანწი ეჭირა, რომელიც წამ-და-უწყუმ ერყეოდა. — გადისეა ხელი თმაწვერ-აულეაშზე და დაიწყო:

„ღღეს მეოთხე დღე არის, რაც განსვენებულს, ბაღილას უკანასკნელი ანდერძი აუგეთ; კარგით იცით, რომ ექვს თვეს შემდეგ გარდაცვალებისა, გარდაცვლილს აუგებთ ხოლმე ანდერძს ჩენის წესით მაშინ, როდესაც მკედარი რიგინად ცნობილია. საწყალი ბაღილა!.. კარგი ოჯახის შეილი იყო; ყვევილები“ დღეობის დროს „მნათეთ“ 1) ვირჩევდით ხოლმე. შარშან ამ დროს ჩვენთან ერთად მხოარულედა და წელს კი დაგეკლდა.. სწორად გუშინ, უკანასკნელი ანდერძის წინა დღეს, ბაღილას საიქიას მიუფიქროდა ის ცხენი, ის იარაღი, ის ტანთსაცმელი, რომელიც მის საფლავზე გექნდა გამოფენილი. გუშინ მისი ცხენი ჩაბარებდა მას — რაც გამოუფენით საფლავზე. მართალია, ის ცხენი და ტანისამოსი დღეს ისევე აქ არის, მაგრამ მის საბაღლო ცაში მიუვა ლეთისგან. ჩაბარებს ცხენი იმ გვარ ტანთსაცმელს უსხეულა ბაღილას სულს და თვით ვამგზავრება თიხის მთაზე. იქიდა საში დღის განმავლობაში, ცხენი მიზადავს სამყოფ მიწას, იმ მიწით ააგება სხეული კაცისა ანგელოზების ხელით და შერე ღმერთი, ეწაყალე მის სახელს, ჩაზერავს სულს და, ცაში დაიბადება იგივე ბაღილა, რაც აქ იყო. დიაღ, სწორით ისეთი, როგორიც აქ იყო.

„ხალხნო, იცოდეთ, — თუ კაცო სააქაოს კეთილია — საიქიოსაც ის იქნება, მხოლოდ ბორატო — საიქიოს უნდა თხათ იქცეს, იტრიოლოს ცეცხლის აღში, რომელსაც მოსვენება — და მშვეფელი არ გამოუჩნდება! რასაკვირველია, ბაღილა მაშარგბათ იქნება იმ ცეცხლიდან, რადგან ჩვენში კი სახელი დატევა.. მახსოვს კარგათ, — საწყალი ბაღილა ჯვარის როგორ აცვა ერთმა ლეხურელმა ბორატ მოქმედმა. მახსოვს მე — და თქვენც კარგათ გესმამებათ, რომ ბაღილა სიცოცხლის უკანასკნელ ნაწიში, ერთი ქალის ანბარა დაჩრა, ის ქალი იყო მისი სიცოცხლე — მისი სულის ჩამდგმელი. როდენდაც ქალი ასუ-

1) დეკრთო შეგვიყიე

2) რას ჩადისართ — რას.

1) დევანოზის წინა დღით თადარიგის დამქვრისა, „გიკე“ ღამის მიუქვლუჰანს ათქვს დამქს.

ლდგმულებდა ბაღილას, იმდენად ყელსა ჭირდა და ტლაპობი ჰქვიდა თავისი უშვირი ქვეყნი...

მაშო, არ იყო, რომ აჰყვა უსინდისო ქვეყნს კუროსას? მაშო არ იყო, რომ დახმდა მოხუცებულს თავი დაანება და ჯანაბის გზას გაუღდა?.. ბაღილას ძლიერ უყვარდა მაშო, სანამ გაუგებდა ტულუტობას. მაგრამ კაცი, როდესაც კაცად ითვლება—სათანავარძნობა გულს უწინებს და საზიზღარს—ზურგს. ბაღილამ განაძევა თავისი კოლი სახლიდან;—გარძნობდა, რომ მაშოს გაძევება მისი დაღუპვა იყო, მისამა ბოროტება და სირცხვილი არ იყისრა. მისმა უშვიერმა საქციელმა დიდად იმოქმედა ბაღილაზე: ჯავრისაგან თვალიც დააკლდა: საქონელი უნატრონობისაგან დაკარგა, ძაღლები რა არის—ისინი კი აღარ შეარჩინეს მაშომ და მისმა კურომ, საწყალს, ოჯახი პირქვე დაემხო! ბოლოს, ერთი კატის ანაბარა და დარჩა თავის სახლში,—გამოვიდოდა ხოლმე გარეთ მზე რომ დიგრუნას მოადგებოდა, ყვარჯუნ დაზებელი ჩიკიციტიბოდა მუხლებში და გაწეებდა მზის გულზე; მივიდოდა მასთან, ნაცარში ამოგუვილი, ცალიერი ძელების ანარა კატა—შეაქებდა თვალებს და იწყებდა კნეიღს. ბაღილა უმოკენესებდა და ვადაუგდებდა დაობებულ „ყაბარქარჯინას“ 1), კატელდის სისწრაფით ეცემოდა ლუქმას.

სალამოს, მოიწმენდა ბაღილა ცრემლით საესე თვალს გაჭუჭყიანებულ ხელით—ამოკენესებდა გულსაკლავად და შევიდოდა სახლში—რა საცოდაობაში დალია სული!..

„ახლა, ისინი, ვინც ბაღილა იმ უკიდურესობაში ჩააგდო, თავიანთ მკედრებით, ძაღლივით საფლავეებში აჰყუფდებიან სააქავოს—და საიქავოს კი—თხად ქეტულნი აიტრუსებიან ცეცხლის აღში...“

ხალხნო! ღმერთმა საუკუნო განსვენება მიცეს ბაღილას და თქვენ—ღმერთმა გაცაცხლოსი!...“

ხალხმა შესვა შესანდობარი ბაღილას, დეკანოზმა ც დაცალო ყანწი და ჩაიშავა.

კარგა სიზუმეს შემდეგ, გაისმა ისე მხინწიანი ხმა დეკანოზისა:—აი, ჩემო ძებო და ბეგობრებო, მაგ გვარი ბოროტ-მოქმედებით ბევრი კაცი იღუპება ჩვენში. მაგრამ ვინ არის გამხილელი? რა-მდენჯერაც ვგზავნით ავაზაკებს და ხელში ვაძლევთ დამწვევ ჩვენს მოხელეებს—ისინი ისე თავისუფლებას ანიჭებენ, არა დგინნი!.. სულ „თავცანცარას ბრალია“ ჩემმა შვიმ... ერთი და ერთი ცხირი არ მოხნდა დანამაყის, და ჩენი სოფელი ავაზაკების ბევრი სხვა-და-სხვა ამ გვარი ლაპარაკი ჰქონდათ ოსებს დღევანდელში. გულის ტყენით აღნიშნაუდენ ამ გვარ მოვლენათ მოხუცნი; მხოლოდ, შიგა-და-შიგ ახალგაზრდათ, ამ ლაპარაკზე პირს ღიმილი უქროდათ და, მგონი, ბაღილად ბრაღდებისა,

1) ნატრში გუნდათ გამომცხვარი პურთა. ბუღეთ გადაიქცა...

გულში სვამდენ სადღეგრძელოს „თავცანცარასს“, კარგა ღამე გატყდა,—მოოკავები დაიშალენ. ქედობაზე რაცრაცით მომდინარე მოოკავთა შორის—ბევრი დაგორდა თავდაღობაროში; ზოგი, თავშემავგრებით მომავალი დღედუნება რადაცას,—ზოგი მტეროდა. ერთ საათს შემდეგ, „ყვავილების საყდრის“ ახლო-მახლო მოიკვა მღუმარებით. ზოგჯერ ზენა ქრისნიავი აბუტბუტებდა ხოლმე იქვე მდგარ თელას რომელიც თითქმას გულის ტყენით—სცემდა საგლოვარო ზარს მომავალ უბედურებისას...

საღეს შემდეგ დღეობისა, ორმა ჩაფარმა აბატრეს როსტევა „გორკას“ ქედზე სიღვე მეტრული. მას უკან მიდევდა დეკანოზის მეზობელთავანი, რომელიც ნიშნის მიგებით მიძახოდა: „ახლა კი აღარ გვირისება აქაული ღრუბლის დანახევაო“. თურმე იმ ღამეს, როცა მოოკავე დაიშალა—როსება უკან დადგენებოდა მარტად სახლში მიმავალ დეკანოზს და ხანჯლით მოეკლა. მიზეზს მკლელობის გამოწვევისათვის დეკანოზის სიტყვას ასახელებდენ. „დეკანოზის სიტყვაში—როსებამ თავისი თავი იცნო და შეურაცყობა ვერ აიტანაო“. მაგრამ, უმატებდა მეზობლობა: „თუ როსებსას საქმემ „თავცანცარას“ ხელში გაიარა—უქმით ჩაივლის უბედური დეკანოზის მოკელოა“...

ა. ერისთავი.

რედაქტორ, გამომცემელი ან. თ.—წერეთლის.

განცხადება

დაზღვევის საზოგადოება

ი ა კ ც რ ი (ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს, რომელსაც ძირითად თანხა 2,500,000 მანეთი აქვს გარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მიიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მიიღება ყოველწიური მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვიით-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსალების საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგებაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისთვის და იმყოფება ბაროანის ქუჩაზე, კლოსტერის სახლში, თუ არა თვით საზოგადოების ადვოკატის ალექსანდრე პეტრეს ძის ზაერეივისაგან, რომელიც დავაველიამინოვის ქუჩაზე № 2.